ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სულხან ბორძიკაშვილი

ჩვეულებითი სამართალი და შარიათი ვაინახი და დაღესტნელი ხალხების ისტორიაში

(XIX საუკუნე)

სამაგისტრო პროგრამა: კავკასიოლოგია

ნაშრომი შესრულებულია კავკასიოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ჯონი კვიციანი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

თსუ-ს კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

სარჩევი

ანოტაცია 3

შესავალი 5

I თავი. ჩვეულებითი სამართლისა და შარიათის შეფარდება 19 საუკუნის დასაწყისში 11

§ 1.1 ისლამი და შარიათი დაღესტნელებში 14

§ 1.2 ისლამი და შარიათი ვაინახებში 20

II თავი. შამილის იმამატი: თეოკრატიული თუ საერო სახელმწიფო 25

III თავი. ჩვეულებითი სამართლისა და შარიათის ფუნქციონირება რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის კონტექსტში (19 საუკუნის 70-80 იან წლებში 36

დასკვნა 41

გამოყენებული ლიტერატურა 43

ანოტაცია

სულხან ბორძიკაშვილი სნაშრომში „ჩვეულებითი სამართალი და შარიათი ვაინახი და დაღესტნელი ხალხების ისტორიაში (XIX ს.) “-ნაჩვენებია ვაინახი და დაღესტნელ ხალხთა ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვეულებითი სამართლისა და შარიათის თითქმის საუკუნოვანი ურთიერთმიმართება XIX საუკუნის დასასრულამდე, ე. ი. რუსეთის მიერ კავკასიის საბოლოოდ დაპყრობამდე.

ავტორი მოცემულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში, შარიათთან შედარებით ჩვეულებით სამართალს წარმოაჩენს როგორც ამ ხალხთა დაქსაქსულობისერთ-ერთ მთავარ მიზეზს, მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნეთსა და დაღესტანში ჩვეულებითი სამართალი კარგად აპრობირებული და მოსახლეოსთვის ბევრად უფრო გასაგები იყო. ნაშრომი ეხება კავკასიაში ისლამის გავრცელებასა და კავკასიელ ხალხებში შარიათის კანონების დამკვიდრებას. შარიათი გაანალიზებულია როგორც ვაინახი და დაღესტნელი ხალხების გამაერთიანებელი ფაქტორი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ.

ნაშრომში შამილის იმამათი გაანალიზებულია როგორც თეოკრატიული, ასევე საეროსახელმწიფოს კუთხითაც. ავტორი წარმოადგენს შამილის იმამათში საერო ინსტიტუტების (მაგ. “დივანხანა “) მიერ მიღებულ ნიზამებს და მიუთითებს საზოგადოებაში მათი შექმნის არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ წინაპირობებს. ასევე შედარებულია შამილის ზოგი ნიზამი შარიათში არსებულ მსგავს კანონებთან, ნაჩვენებია მათ შორის საერთოსთან და განსხვავებულთან.

ნაშრომში გაანალიზებულია, აგრეთვე, რუსეთის იმპერიის სამართლებრივი პოლიტიკა კავკასიაში XIX საუკუნის 70-80-იანწლებში. ყურადღება

ეთმობა ცარიზმის მიერ წარმოებულ ჩვეულებითი სამართლისა და შარიათის დაპირისპირების, საზოგადოებაში მათი გავლენის დასუსტებისა და, შესაბამისად, იმპერიული სამართლებრივი ხელისუფლების დამკვიდრების პოლიტიკის გაანალიზებას.

Annotation

In the paper of Sulkhan Bordzikashvili – "Customary Law and Sharia in the History of Vainakh and Dagestani Nations(XIX C)" – is reviewed an interrelationship of the Customary Law and Sharia of Vainakh and Dagestani people in terms of everyday life, until the end of XIX century, when Caucasus was finally conquered by Russia.

Within the given frame, the author shows the Customary Law comparing with Sharia, as one of the main reason of enfeeblement of this nation, although the customary law in Chechnya and Dagestan was much more approval and understandable. The discussed issue in the work of spreading Islam in Caucasia and establishing Sharia law within the Caucasion nations, is analyzed as a major fact of uniting Chechen and Dagestani people against Russian Empire.

In the work, Shamil's Imamate is shown as from the theocratic point, as well national one. The author represents the Nizams adopted by the national institutes of Shamil's Imamate and indicates the existed socio-economic preconditions in the society of forming them. Some specific Nizams are compared with Sharia laws and are shown the common and distinctive

peculiarities of them. In the paper is analyzed the state juridical policy of Russian Empire in Caucasus in the 70-80ss of XIX century.

Here, analyzing the policy of Tsarism for confronting the Customary Law and Sharia, and weakening their influence in the society and accordingly, establishing the imperial political power is noteworthy.

შესავალი

თემის შერჩევა განპირობებულია მისი აქტუალურობით. კავკასიაში ისლამის გავრცელება, სამართლის სისტემა და განსაკუთრებით შამილის იმამათი არის ძალიან საინტერესო ფენომენი, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა დასავლელი მკვლევარები და პუბლიცისტები ჯერ კიდევ მისი მმართველობის პერიოდში და ის დღემდე არ კარგავს თავის აქტუალურობას.დღესაც, კავკასიის მთიელ ხალხთა ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვეულებითი სამართალი, რომელიც მოითხოვს უფრო ღრმა შესწავლას, რომ მოხდეს მისი ტრანსფორმაცია რეგიონის სახელმწიფოების სამოქალაქო სამართალში.

იბერიულ - კავკასიურიმოდგმისხალხებს, რომლებსაცკავკასიისრეგიონშიათასწლეულებისგანმავლობაშითანაცხოვრებისგამოჩამო

უყალიბდათსაერთოწეს-ჩვეულებები,განასხვავებთრელიგია. ამ რეგიონში სამივეძირითადიკონფესია(ისლამი, ქრისტიანობა, იუდაიზმი) არისგავრცელებული.ამასკავკასიელთაშორისჩამოყალიბებულიმურთიერთობებზეარმოუ ხდენიადიდიგავლენა, მაგრამუნდაითქვას, რომდიდიხნისგანმავლობაშიბევრიიმპერიისადაქვეყნისინტერესებიიკვეთებოდარეგიონში დაამინტერესებისმიხედვით იმპერიები, რომლებიც კავკასიაში ჩნდებოდნენ, იყენებდნენ ამ ხალხს და მათზე გავლენის მოხდენასა და შემდეგ მის შენარჩუნებას ცდილობდა.

ყველაიმპერია, რომელიციპყრობდაკავკასიისრომელიმეხალხს, საკუთარიმმართველობისგანმტკიცებისთვისიწყებდაკავკასიელიხალხებისიდეოლოგიურ დამუშავებას, ავრცელებდასაკუთარრელიგიას. ამრიგად, კავკასიაშიგვაქვსსამივეძირითადირელიგიისაღმსარებლობისხალხი-ისლამის, ქრისტიანობისდაიუდაიზმის, თუმცაესუკანასკნელინაკლებადარისგავრცელებულიკავკასიელხალხებში.

სანამრელიგიურიანიმსახელმწიფოსკანონები, რომელსაცგავლენაჰქონდაკავკასიელხალხებზეამოქმედდებოდა, კავკასიელებს, თითოეულ ერს ჰქონდასაკუთარიჩვეულებითისამართალი. ესსამართალიდიდიხნისგანმავლობაშივითარდებოდა, ივსებოდაცხოვრებისპირობებიდანგამომდინარედაშედიოდაის ცვლილებები, რა ცვლილებებიც იმ მომენტში საზოგადოებისთვის იყო საჭირო.

კავკასიაშიტრადიციულიეთნოკულტურულიინსტიტუტებიმოიცავსადამიანთაურთიერ თობისყველასფეროს. თითოეულამინსტიტუტშიჩადებულიაძლიერიმექანიზმები, რომლებიცუზრუნველყოფენსაზოგადოებაშისამართლიანობის, თანასწორობისადასხვაღირებულებებისდაცვას.

ხალხი,რომელთამაგალითზეცსაკვლევითემისშესწავლაგადავწყვიტე, ვაინახებიდადაღესტნელებიარიან. ვფიქრობ, უფროუპრიანი იქნება, თუამკვლევისფარგლებშიარშემოვიფარგლებისაზღვრებითდაგამოვიკვლევამხალხებშია რსებულგამოცდილებას.საინტერესოა, როგორ აისახებოდა სამშობლოში მიმდინარე

მოვლენები მათზე, მიუხედავად იმისა, ცხოვრობდნენ ისინი ამ მოვლენების განვითარების არეალში თუ არა.

ვაინახიდადაღესტნელიხალხებისისტორიაშიდათანამედროვეობაშიარსებობსრელიგიურ-ისლამურისამართალი შარიათი, რომლისმიხედვითაცხდებოდადახშირშემთხვევაშიახლაცხდებასამართალწარმოება, რაც განპირობებულია ისტორიის კონკრეტულ მონაკვეთში მომხდარი პოლიტიკური მოვლენებით.

ვაინახებისა და დაღესტნელების შესახებ ქართულ წყაროებში საკმაოდ ბევრი მასალა მოიპოვება, თუმცა ეს მასალა ძირითადად არის როგორც ისტორიის, ასევე კულტურის შესახებ, ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი მათ სამართალს, სამართლის დინამიკას, რომელიც, ჩემი აზრით, არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ნიკო ხუციშვილის ავტორობით 2002 წელს გამოცემულ წიგნში ,,დაღესტანი“ , საკმაოდ საინტერესო ცნობებია დაღესტნის ისტორიის შესახებ, თუმცა სათანადო ყურადღება არაა მიქცეული შარიათისა და ჩვეულებითი სამართლის მოქმედების შესახებ ისტორიის იმ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა იმამათს, თუმცა ცალსახად საინტერესო მასალას გვაწვდის დაღესტნელების ისტორიაზე და შამილის იმამათზეც საკმაოდ კარგი ცნობები აქვს, რომელიც ზოგად სურათს გვაძლევს ამ პერიოდში არსებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე. ამასთანავე მინდა აღვნიშნო, რომ რადგანაც ეს წიგნი ზოგადად დაღესტნის ისტორიას ეხება და მოიცავს საკმაოდ დიდ პერიოდს, არ არის განხილული ჩვენი საანალიზო თემა.

დაღესტანში სამართლის ისტორიის კვლევის დროს აუცილებლად ყურადღებამისაქცევი მასალა არის ლაბაზა გუმაშვილის რუსულ ენაზე გამოცემული ნაშრომი ,,შამილის კონსტიტუცია და მისი ანალიზი“ , რადგან ამ ნაშრომში მას აქვს შამილის მიერ მიღებული ნიზამების საკმაოდ დეტალური განხილვა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი წყაროა, თუმცა საუბარი არის მხოლოდ შამილის ნიზამებზე და დროის იმ მონაკვეთში მეორე, ჩვეულებითი სამართლის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება, არადა ძალიან საინტერესო იქნებოდა.

ნაშრომზე მუშაობის დროს ჩემთვის ძალიან საინტერესო წყარო იყომიხეილ თუმანიშვილის არქივში ხათუნა ბაინდურაშვილის აღმოჩენილი ერთ-ერთი წერილი, რომელიც უცნობი ავტორის მიერ რუსულ ენაზე იყო შედგენილი და ეხებოდა იმამათისდროინდელ რუსულ პოლიტიკას კავკასიელებისადმი. ამ წერილის მიხედვით საკმაოდ მნიშვნელოვანი ცნობა მივიღე შარიათისა და ადათის დინამიკის შესახებ, თუ როგორ იყენებდა რუსული პოლიტიკა ორივე სამართალს ხალხის დასაპირისპირებლად და შემდეგ სამართავად.

სამწუხაროდ, XIX საუკუნის ცარისტული ისტორიოგრაფიის მასალების დიდი ნაწილი კავკასიელებს წარმოადგენდა, როგორც ,,ჩამორჩენილებს", ,,ველურებს" საპირისპიროდ ამისა, იმავე დროს დასავლელი მწერლებიმოიხსენიებენ მათ. მაგალითად, ძალიან მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ანა დრანსეს ჩანაწერები და შემდგომში უკვე წიგნად გამოსული ,,შამილის ტყვე ქალები", რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ შამილის პიროვნება.ანა დრანსე ძალიან კარგად აღწერს იმამათის ხელმძღვანელის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ტყვე ქალების და ბავშვების მიმართ, ასევე მის მიერ საინტერესოდაა აღწერილი პიროვნული დამოკიდებულების ცალკეული ნიუანსიყველას მიმართ, სადაც ის მოიხსენიებს შამილს, როგორც ,,ფრანგული ეტიკეტის" და ზოგადად ევროპული კულტურის ღრმად მცოდნეს.

ლეილა მარგოშვილის ნაშრომი ,,პანკისის ხეობა" ასევე წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან წყაროს ამ თემის კვლევით დაინტერესებულ მკვლევართათვის, ის საკმაოდ კარგ მასალას გვაწვდის პანკისის ხეობის შესახებ, მათ შორის რელიგიაზე, სამართალზე,თუმცა ლეილა მარგოშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჩვეულებითი სამართალი არის მოძველებული და ხალხმა ის უნდა მიატოვოს, ვფიქრობ არის იმ ისტორიული გამოცდილების და ვაინახი ხალხის ჩვეულებებისა და ამ ჩვეულებითი სამართლის მნიშვნელობის უგულველყოფა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვაინახების ისტორიაში და ცნობიერებაში. ვფიქრობ,ავტორსარ ჰქონდა სრულფასოვანი მასალა, რამაც გამოიწვია მისი მხრიდან ჩვეულებითი სამართლის მნიშვნელობის უარყოფა. რადგან ამ სამართლის დინამიკის გააზრებით, გასული საუკუნიდან დღემდე

კარგად ჩანს, რომ ეს სამართალი ძალიან მყარად არის ხალხის აზროვნებაში გამჯდარი და მხოლოდ გარემოებების გამო დროებით ხდება მისი შეცვლა, თუმცა შემდეგ ვაინახები ისევ აუცილებლად უბრუნდებიან ადათს. კვლევის ფარგლებში მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ ვაინახებმა ჩვეულებითი სამართალი კი არ უნდა მიატოვონ სამუდამოდ, არამედ ის უნდა გახდეს ერთგვარი საფუძველი სახელმწიფო საკანონმდებლო სამართლის შექმნისა.

შამილის პერიოდის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის დაღესტნელი ისტორიკოსი და შამილის მმართველობის პერიოდის ცნობილი მკვლევარიიუსუბ დადაევი სტატიაში ,,*Из опыта обеспечения равноправия граждан разных национальностей и вероисповеданий в государстве Шамиля*“ რომელიც ჟურნალ ,,კავკასიური ძიებანი-ში“ 2013 წელს გამოქვეყნდა. დადაევი შამილის მიერ მისი მმართველობის პერიოდში უცხოელების და მითუმეტეს სხვა რელიგიის წარმომადგენლების მიმართ წარმოებული პოლიტიკის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას, რაც შესაძლებელს ხდის შამილის პოლიტიკური მსოფლმხედველობის გააზრებას. თუმცა დადაევი ამ სტატიაში არ აანალიზებს იმ პერიოდში ადათისა და შარიათის დინამიკის საკითხს, რაც მნიშვნელოვანი იქნებოდა სამართლებრივი კუთხით, კერძოდ, ნაციონალური და რელიგიური უმცირესობების სამართლებრივი კუთვნილების თვალსაზრისით.

ხასო ხანგოშვილის 2005 წელს დაბეჭდილ წიგნში ზოგადადვაინახურ ჩვეულებით სამართალზეა ყურადღება გამახვილებული, კერძოდ კი აქ განხილულია ქისტურისამართალი. საკმაოდ კარგი მასალის მოძიება შეიძლება ამ წიგნიდან, თუმცა ჩვეულებით სამართალზე საკმაოდ მწირი ინფორმაციაა. ამის განვრცობა ხდება ამავე ავტორის მეორე წიგნში ,,ქისტების ადათ-წესები”, სადაც ვრცლად არის წარმოდგენილიჩვეულებითი სამართლის ნორმები, მაგრამ არ არის ყურადღება გამახვილებული ისეთ მნიშვნელოვან თემაზე, როგორიცაა დინამიკა ჩვეულებით სამართალსა და შარიათს შორის, რაც, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა საზოგადოებისთვის.

ასევე ინტერნეტ-რესურსების კვლევის დროს აღმოჩნდა, რომ ჩვეულებით სამართალთანშარიათის მიმართებას ნაკლებად ექცევა მკვლევართა ყურადღება. ზოგადად ამ პერიოდში არსებულ სამართლებრივ სისტემებზე არის საუბარი, თუმცა შედარება და შემდეგში ამის ანალიზი, მითუმეტეს თითოეული სამართლის ფუნქციონირების მნიშვნელობა რატომღაც გამორჩენილია.

მათე ალბუთაშვილის წიგნი პანკისის ხეობა, რომელიც ძირითად პანკისის ხეობის მცხოვრებ ვაინახებზე მოგვითხრობს, კარგად გვიჩვენებს ვაინახ საზოგადოებაში იმ დროისთვის არსებულ სიტუაციას, რადგან პანკისის ამ პატარა ხეობაში წარმოდგენილი რელიგიური დინამიკა, ჩემი აზრით, ძალიან მოგვაგონებს მაშინდელი ვაინახი საზოგადოების რელიგიურ სიჭრელეს, თუმცა სამართალზე და მითუმეტეს ამ სამართლის დინამიკაზე მათე ალბუთაშვილს არ აქვს ჩანაწერები და ამ თემაზე მასალის მოძიება მისი ნაშრომებიდან არ არის შესაძლებელი.

ამ და სხვა მიზეზების გამო გადავწყვიტე აღნიშნულ თემაზე მუშაობა, რადგან მიმაჩნია, რომ საკვლევი მასალა ნათლად ასახავს კავკასიის მთიელ ხალხთა ყოველდღიურ რეალობაში არსებულ ვითარებას, სახელმწიფო სამართლის პარალელურად ჩვეულებითი და შარიათის სამართლის ფუნქციონირების თვალსაზრისით.

ჩემი მიზანია, სამაგისტრო ნაშრომშიწარმოვადგინო შარიათისა და ჩვეულებითი სამართლის მნიშვნელობის საკითხი ვაინახ და დაღესტნელ ხალხებში.ვეცდები, გავაანალიზო, თუ რომელი სამართალი უფრო მიესადაგებოდა მაშინდელ გამოწვევებს, რა მიზნები ჰქონდათ ამ სამართლის დამკვიდრების მესვეურებს და რამდენად გაამართლა მან.

ნაშრომში ასევე წარმოდგენილი იქნებასაკითხი შამილის მიერ განხორციელებული რეფორმების შესახებ, ჩვეულებითი და შარიათის სამართლის პროგრესული ხასიათი ვაინახი და დაღესტნელი საზოგადოების ისტორიის ამ პერიოდში.

ამისთვის ასევე გავაანალიზებ ჩვეულებითი სამართლისა და შარიათის შეფარდებას XIX საუკუნის დასაწყისში, შამილის იმამატს, თეოკრატიული თუ საერო სახელმწიფოს

საკითხს, ასევე ჩვეულებითი სამართლისა და შარიათის ფუნქციონირებას რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის კონტექსტში XIX საუკუნის 70-80 იან წლებში.

ნაშრომი შედგება შესავლისა და სამი თავისაგან, რომელსაც ერთვის დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი I

ჩვეულებითი სამართლისა და შარიათის შეფარდება XIX - ე საუკუნის დასაწყისში

დაღესტანშიისლამისგამოჩენაჯერკიდევ VII საუკუნისშუაშიმოხდა, როდესაცსამხრეთ კავკასიისდამორჩილებისშემდეგარაბებიგადადიანჩრდილოეთშიდადერბენტსიღებენ. (ხუციშვილი,

2002).თუმცაესიყოდერბენტისდროებითდაკავებადაამპერიოდშირელიგიისგავრცელებასფ ართომასშტაბებიარექნებოდა. ხოლო სომხეთისა და აზერბაიჯანის არაბი მმართველის, მასლამის მიერ დერბენტის მეორედ აღების შემდეგ, რომელიც მოხდა 725 – 726 წლებში, ის დერბენტში ასახლებს 24 000 არაბს რაც ლოგიკურია კონკრეტულ მიზნებს ემსახურებოდა და ერთ-ერთი მთავარი აქ იყო ისლამის გავრცელება, რაც სრულდება კიდეც, დაღესტანში ისლამი იკიდებს ფეხს. (ხუციშვილი, 2002). თაბასარანული გადმოცემის მიხედვით, მასლამის დაღესტნიდან წასვლის შემდეგ, ადგილობრივიმუსლიმებისთვის თავისი ხმალი დაუტოვებია, როგორც ისლამის დაცვისა და ხელშეუხებლობის ნიშნად. ესეც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ისლამი ჩრდილოეთ კავკასიაში ამავე პერიოდიდან იღებს სათავეს.

მე-XVIII - ე საუკუნის დასასრულსა და მე-XIX - ე საუკუნის დასაწყისისთვის ვაინახებსა და დაღესტნელებში ხდება ისლამის მომძლავრება, მართალია ამ პერიოდში ამ ერებში შარიათზე ბევრად დიდი ავტორიტეტი, ნდობა და მიმღებლობა აქვს ჩვეულებით სამართალს, თუმცა რუსეთის იმპერია მხარს უჭერს სასულიერო პირებს, ასევე შარიათს და ამით იმის იმედი აქვს, რომ შარიათის მომხრეებსა და ადათის მომხრეებს შორის დაიწყება კონფრონტაცია და ამის საფუძველზე რუსეთს ექნება დაპყრობისა და მართვის უკეთესი საშუალება, თუმცა ამის საპირისპირო შედეგს იღებს და იქცევა ისლამის დროშის ქვეშ ამ ერების გაერთიანების საშუალებად და რუსეთის მიერ ჩაფიქრებული გეგმა, რომ ამ ერების და ასევე ერებს შიგნით საზოგადოებებს დაპირისპირება მოეხერხებინა, არ გამოვიდა, პირიქით, ამან ბიძგი მისცა მათ ერთიანობას.

მნიშვნელოვანია ხათუნა ბაინდურაშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების მეხუთე ნაწილში წარმოდგენილი წერილი, რომელიც მის მიერ მ. თუმანიშვილის არქივში იქნა აღმოჩენილი, წერილის ავტორი უცნობია, ის ერთ-ერთი რუსი, სავარაუდოდ სახელმწიფო მოხელეა და ჩრდ. კავკასიაში მიმდინარე პროცესების მცოდნე. წერილში ავტორი კავკასიაში იმ დროს არსებულ სიტუაციაზე ამახვილებს ყურადღებას და წერს:

,,ჩვენს ხელისუფლებას მხარი იმ ელემენტისთვის უნდა დაეჭირა, რომელიც უკეთ შეესაბამებოდა ჩვენს პოლიტიკურ ხედვას; მაგრამ, მოჩვენებითად, მოსახლეობის უმრავლესობის თანაგრძნობის მოსაპოვებლად ჩვენ გვაროვნული ინტერესები უგულვებელვყავით და მხარი დავუჭირეთ და აღვადგინეთ მუსლიმური სამღვდელოება, როგორც მასთან (ხალხთან) დაახლოების საუკეთესო საშუალება, ვინაიდან ხალხი ყოველთვის გამოხატავდა და გამოხატავს მეტ თანაგრძნობას შარიათისადმი რომელიც საყოველთაოა, ვიდრე ადათისადმი, რომელიც ცალკეული გვარების წარმომადგენელის გავლენასა და ძალაუფლებას ამყარებს.“ [ხ. ბაინდურაშვილი, 2012:15].

მართალია რუსეთს მიერ ხალხების დასაპირისპირებლად იმ პერიოდში გატარებულ პოლიტიკას არ მოაქვს რეალურად ის შედეგი, რაც ჩაფიქრებული ჰქონდათ, მაგრამ ადათის დაკნინებით შარიათის დამკვიდრება კი ხდება, რომელიც გამოჩნდა კიდეც კავკასიის იმამათის დაფუძნების შემდეგ.კავკასიის იმამათის ხელმძღვანელობა იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც კრძალავს ადათის მიხედვით სამართალწარმოებას და მთლიანად ხდება შარიათის პრინციპების მიხედვით. ამ მოსალოდნელი შედეგის შესახებ იგივე ავტორი წერილში წერს.

,,მაშინ კავკასიაში გაჩნდა მოძღვრება საღვთო ომისა ურჯულოთა წინააღმდეგ და შეიქმნა რელიგიური მოძღვრება მიურიდიზმის სახით.“[ხ. ბაინდურაშვილი, 2012:221-226]

კავკასიელების დამორჩილების რუსულ მეთოდებს ზემოთ აღნიშნული წერილის ავტორი არ იწონებს და ამბობს, რომ რუსეთის ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს ახლა

უკვე სასულიერო პირების მაქსიმალური შევიწროება და ადათობრივი სამართლის წინ წამოწევა, რის შედეგადაც შარიათის მაგივრად მოხდება რუსეთის კანონების დამკვიდრება იმ ფარგლებში, რომელ ფარგლებშიც აქამდე შარიათის კანონი მოქმედებდა. შემდეგ კი კავკასიელი მუსლიმების მაქსიმალურად გატეხვა და მათი შესუსტებული რელიგიის ფონზე მათში ქრისტიანული რელიგიის გავრცელება, როგორც უფრო მორჩილი და მათდამი ლოიალური, ამისთვის კი ის მთავრობას ურჩევს, რომ ჩამოყალიბდეს ,,კავკასიაში მართლმადიდებლობის აღდგენის საზოგადოება“ და ამის მეშვეობით მოხდეს მისიონერების გაგზავნა და მათში ისლამის ქრისტიანობით შეცვლა.

,,აი, ერთადერთი გზა, რომელმაც შესაძლოა მიგვიყვანოს კავკასიაში მშვიდობის სრულ დამყარებამდე. ‘[ხ. ბაინდურაშვილი, 2012:15-16]

ცალსახაა, რომ ამ პერიოდში ვაინახი და დაღესტნელი ხალხები სამართალწარმოებას ახორციელებენ თავიანთი ტრადიციული სამართლის მიხედვით, რაც მართალია ამ საზოგადოებებისთვის არის აპრობირებული და კარგად ნაცნობი, თუმცა როგორც ვხედავთ, ეს რუსეთისთვის იმ პერიოდში არ არის მთლად სახარბიელო მდგომარეობა, სწორედ ეს უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ უჭერდა მაშინდელი რუსეთის მთავრობა შარიათის სამართალსა და რელიგიურ წარმომადგენლებს მხარს და მუშაობდა ჩვეულებითი სამართლის წინააღმდეგ, რამაც თავისი შედეგი გამოიღო კიდეც.

- *§ 1.1 ისლამი და შარიათი დაღესტნელებში*

შარიათის სამართლის სახელმწიფო დონეზე მოქმედება XIX საუკუნის დასაწყისისთვის იწყება და ეს მეტწილად განპირობებულია იმის გამო, რომ კავკასიელ ხალხს სჭირდება ერთიანობა, რომ წინ აღუდგნენ რუსეთის იმპერიას. ის რომელიც ნელ-ნელა იპყრობს მათ ტერიტორიებს და აარსებს გარნიზონებს, რის შემდეგაც იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი ვარდება უკიდურესად ცუდ მდგომარეობაში, რადგან კარგავენ, როგორც მიწებს, ასევე დიდი საფრთხის წინაშე დგება მათი ტრადიციები, ცხოვრების წესი და კულტურა, ამას რა თქმა უნდა ხედავენ იმ დროისთვის კარგად ცნობილი სასულიერო პირებიც, რომლებისთვისაც ამ იმპერიის წინააღდეგ ხალხის გაერთიანების კარგი ბერკეტი გააჩნიათ, რელიგიის სახით.

დაღესტანშიშარიათის სამართლის დასამკვიდრებლად მოძრაობას პირველი იწყებს დაღესტნელი სასულიერო ლიდერი მუჰამედი,ის მე-XIX – ე საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა დაღესტანში და ითვლებოდა ყურანის დიდ მცოდნედ, ასევე ჰქონდა მორწმუნეებს შორის დიდი ავტორიტეტი.მუჰამედი ამავდროულად იყო ყადიც, რამაც მას გაუადვილა ჰაზავათის, როგორც დამპყრობლის წინააღმდეგ ნამდვილი და ძლიერი წინააღმდეგობის ჩამოყალიბება, ის რუსების წინააღმდეგ აცხადებს ჰაზავათს.(ხუციშვილი, 2002).

მუჰამედის მიერ გამოცხადებულ ჰაზავათს უერთდება ამ შემდგომში უკვე კარგად ცნობილი ოთხი პიროვნება, ესენია შამილი, ჯემალ ედ დინი, ღაზი მოლა და ჰამზათ ბეი. ღაზი მოლა მალევე ხდება ჩეჩნეთისა და დაღესტნის იმამი. (1830) ამ პერიოდში არც დაღესტანში და მითუმეტეს არც ჩეჩნეთში არ არის შარიათის სამართალი და ამ სამართლით სამართალწარმოება, აქვთ ჩვეულებითი სამართალი, რომელიც ამ ხალხებს

განსხვავებული აქვთ, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ დაგეგმილი წინააღმდეგობისთვის, ღაზავათისთვის ეს არის ხელისშემშლელი ფაქტორი, რადგან სამართალი მათ აშორებს ერთმანეთს და არ არის ერთიანობა ამ მხრივ, ღაზი მოლა დარწმუნებულია, რომ შეძლებს ამის შეცვლას და ხალხში შარიათის დამკვიდრებას, თუმცა იდეა ამ პერიოდში არ მოიცავს შარიათის ყველა დავაში გამოყენებას, რადგან ღაზი მოლა გადაწყვეტს, რომ საოჯახო დავებსა და ქორწინების შესახებ დავები იყოს ჩვეულებითი სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, ამ სამართალზე დაფუძნებული.

როგორც კი ღაზი მოლა გამოცხადდება ახალი იმამატის იმამად, ის ჩეჩნეთის და დაღესტნის მოსახლეობისგან მოითხოვს, რომ დაიწყონ დავების შარიათის სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე მოგვარება, ხოლო შარიათზე უარის თქმის შემთხვევაში, უარის მთქმელ აულებს დარბევით ემუქრება, ამ პრინციპულმა მიდგომამ კი შედეგი გამოიღო, დაღესტნის აულების დიდმა ნაწილმა აირჩია შარიათი. იმამს წარმატება აქვს დაღესტნის დიდ ნაწილში, ის შარიათს ამკვიდრებს ხუნძეთში, თუმცა ცენტრალური აული ხუნძახი ამას არ იღებს, ეს კი მისთვის ლოგიკურია, პრობლემას წარმოადგენს. ღაზი მოლას გეგმაში აქვს, რომ გახდეს მთლიანად კავკასიის მუსლიმების იმამი და კავკასიიდან რუსები გაყაროს, ამისთვის აუცილებელია ღაზავათი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს კავკასიელი მუსლიმები შემოიკრიბოს შარიათის გარშემო და საღვთო განმათავისუფლებელი ომი აწარმოოს დამპყრობლის წინააღმდეგ. კავკასიელ ხალხებში ერთიანობა არ არსებობს, რაც მათ ჩაგვრად და ტერიტორიების დაკარგვად უჯდებათ, ცალ-ცალკე ადვილი მოსახელთებლები არიან, ამის გამო ის იწყებს დიდი ომისთვის, ღაზავათისთვის მზადებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი პოპულარობა საკმაოდ დიდი იყო და სახელი კარგად გავრცელებული ჰქონდა, ხოლო მისი ქადაგებების მოსასმენად ბევრი ხალხი მოდიოდა სხვადასხვა აულებიდან, ერთ-ერთი ასეთი ქადაგების დროს ის ხალხს მიმართავს:

,,თქვენ არ იყავით ჭეშმარიტი მუსლიმები, თქვენ არ გწამდათ წმინდა შარიათი და არ ემორჩილებოდით წმინდა აღთქმას, თქვენი თავი ურწმუნოებთან ურთიერთობებით

შებღალეთ. მე თქვენ გეუბნებით! სანამ დაღესტანი რუსების ფეხქვეშაა გართხმული, მანამდე თქვენ ბედნიერება არ გეღირსებათ! მზე დაწვავს თქვენს ყანებს! არ მოგეცემათ ცის ნამე! თქვენ დაიხოცებით ბუზებივით და გეწევათ სხვა უბედურებებიც! როცა უზენაესის წინაშე წარსდგებით, გელოდებათ არა ნეტარება, არამედ მუდმივი და სასტიკი სატანჯველი! მე მოვლენილი ვარ ალლაჰის მიერ, რათა გიხსნათ. ალლაჰისა და მისი შუამავლის სახელით, ურწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოგიწოდებთ! ჰაზავათი რუსების წინააღმდეგ! ჰაზავათი მათ წინააღმდეგ, ვინც არ ცნობს შარიათს![ვ. გურული ; დ. ობოლაძე, 2017:23]

იმ პერიოდისთვის კავკასიელი მუსლიმებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია შარიათის კანონების დამკვიდრება, რადგან ეს გაერთიანებისთვის ერთ-ერთ მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია და ამას ლიდერები კარგად ხედავენ. თუმცა არსებობს ამ იდეისთვის ერთი პრობლემა, ამ დროს ყველა ერს საკუთარი ადათობრივი სამართალი აქვს და ეს ხელს უშლის იმ იდეის განხორციელებას, რა იდეაც კავკასიის იმამათის შექმნაა. ღაზი მოლა ძალიან ბრაზდება როცა რომელიმე აული არ იღებს შარიათს. შარიათის დამკვიდრება კავკასიის ხალხებში არ არის მხოლოდ ერთი რომელიმე პიროვნების, მმართველის პირადი ახირება, ეს არის იდეა, რომელიც იმამათის შექმნასთან ერთად არსებობს და მისი არსებობის განმავლობაში დღის წესრიგში დგას, ზოგადად სახელმწიფოებრიობის, ამ სახის სახელმწიფოს არსებობისთვის უმნიშვნელოვანესი პირობა საერთო სამართლის, შარიათის არსებობაა. მართალია ის ყველა ხერხით იბრძვის, რომ დაღესტანსა და ჩეჩნეთში დაამკვიდროს შარიათი, თუმცა ამას ბოლომდე ვერ ახერხებს.

იმამათის მეორე იმამს ამ მიმართულებით მოქმედების საშუალება არ ჰქონია, რადგანაც მისი მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა, ხოლო მესამე იმამმა, შამილმა (შამილ მუჰამედ ტაჰირ ალ კარაჰი) კი შარიათის დამკვიდრებისთვის ძალიან აქტიური და მნიშვნელოვანი მოქმედებები დაიწყო. ამის ერთ-ერთ მაგალითია მის მიერ რეზიდენციის აშილტა-ში გადატანის შემდეგ გატარებული ღონისძიებები, როდესაც მეზობელ აულებს სთხოვა შარიათი ეღიარებინათ, ამისთვის ის ძალასაც არ ზოგავდა, რამაც შედეგი გამოიღო და მალევე შამილის მოთხოვნა უმეტესობამ მიიღო, წინააღმდეგობას მხოლოდ აულ უნცუყულისმოსახლეობა უწევდა.

აული უნცუყული იყო საკმაოდ ძლიერი აული, ასევე მათ მხარს უჭერდა რუსეთი, რომ ებრძოლათ შამილის წინააღმდეგ და შესაბამისად მოსახლეობა შამილის ამ მოწოდებას საკმაოდ ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა. შემდგომში კი მან წინააღმდეგობის გაწევა არ იკმარა და რუსების მხარდაჭერით გათამამებულები აქეთ ესხმოდა თავს აულ აშილტას და იმამის მათი აულიდან გაძევებას ან მათთვის გადაცემას ითხოვდნენ, ეს რა თქმა უნდა მნიშვნელოვანი პრობლემა იყო საერთო ბრძოლისთვის და საფრთხეს წარმოადგენდა. ასეთ თავნებობა აჩენდა საფრთხეს, სხვა შარიათის ახლადდამკვიდრებულ აულებს იგივე არ ჩაედინათ, რუსეთის წაქეზებით.

მართალია შამილს პრინციპული პოზიცია ჰქონდა შარიათის გავრცელებასთან დაკავშირებით, თუმცა, ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გამო ამაზე დროებით ხელი აიღო. ხოლო შემდგომში შამილი რუსი გენერალი ნიკოლაი რიადისთვის 1835 წელს მიწერილ წერილში წერს:

> *,,არ იფიქროთ, რომ შარიათის სხივი ჩაქრა. არა! შარიათის სხივი ჩაუქრობელია და იგი მალე მოედება ყველა აულსა და ტომს! შეიგნეთ ეს!'*[ვ.გურული; დ.ობოლაძე, 2017:35]

შამილის მიერ ეს ხელის აღება უფრო მეტად სტრატეგიული მოქმედება იყო, ვიდრე სისუსტე, რადგან ეს ჯერ ისედაც ჩამოსაყალიბებელ სახელმწიფოს საფრთხის წინაშე დააყენებდა, მითუმეტეს მსხვერპლი იქნებოდა შესამჩნევი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ პერიოდში შამილისთვის და კავკასიელი მთიელებისთვის არსებობდა ბევრად უფრო დიდი და საშიში მტერი, რუსეთის სახით. თუმცა მოგვიანებით შამილი აღწევს საწადელს და შარიათი მკვიდრდება ვაინახებისა და დაღესტნელების ძალიან დიდ ნაწილში, ეს კი ამ პერიოდში არის ძალიან მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იმ მიზნისთვის, რა მიზანსაც იმამ შამილი ემსახურებოდა.

ამ პერიოდში დამკვიდრებული შარიათი, ძალიან ღრმად ჩაჯდა ხალხის მეხსიერებაში და ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა დაღესტნელებში, მიზეზი უფრო ის უნდა იყოს, რომ დაღესტნელებს უფრო დიდი ისტორია ჰქონდათ ისლამის აღმსარებლობის და ამან

შემდგომში თავისი შედეგი აჩვენა კიდეც, თუნდაც იმამათის დაცემის შემდგომ პერიოდში დაღესტნელები აგრძელებდნენ უფრო მეტად შარიათის სამართლის აღსრულებას, ვაინახები ისევ ჩვეულებით სამართალს დაუბრუნდნენ, რაც ლოგიკური შედეგიც იყო, შარიათის დიდი გამოცდილება ვაინახებს არც ჰქონდათ, თუ არ გავითვალისწინებთ უშურმას იგივე შეიხ მანსურის პერიოდს, სადაც ასე ფართოდ არც იყო შარიათი დამკვიდრებული და შემდეგ უკვე შამილის პერიოდს.

ძალიან მნიშვნელოვანია და დაღესტნელებში შარიათის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის ფაქტიც, რომ საბჭოთა კავშირის წყობილების დამყარების პერიოდშიც კი იმდენად იყო ჩამჯდარი დაღესტნელებში ისლამი და შარიათი, თავად საბჭოთა ხელისუფლება აღიარებდა ამას როგორც კანონს და დაღესტნელებს ჰპირდებოდა ამ სამართლით სამართალწარმოების უფლებას.

საინტერესოა ერთი ფაქტი, რომელიც 1920 წელს მოხდა. ამ წელს თემირ-ხან შურას თეატრში გაიხსნა დაღესტნის ხალხების განსაკუთრებული ყრილობა რომელსაც დაესწრო რუსეთის ეროვნულ საქმეთა კომისარი იოსებ სტალინი და წაიკითხა დეკლარაცია დაღესტნის ავტონომიურობის შესახებ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ტექსტია იმ მხრივ, რომ კარგად ასახავს შარიათის მნიშვნელობას იმდროინდელ დაღესტნელებისთვის, ამის გამო საბჭოთა კავშირი შარიათით სამართალწარმოებასაც კი ჰპირდება, თუმცა რა თქმა უნდა რეალურად საბჭოთა ხელმძღვანელობა ამას არც ამ შემთხვევაში აპირებდა.

,,დაღესტნის მმართველობა უნდა განხორციელდეს მისი თავისებურებების, ყოფის, ჩვეულებების შესაბამისად. ჩვენ გვატყობინებენ, რომ დაღესტნელ ხალხთა შორის შარიათს სერიოზული მნიშვნელობა აქვს. გავიგეთ ისიც, რომ საბჭოთა ხელისუფლების მტრები ავრცელებენ ხმებს, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება კრძალავდეს შარიათს. მე აქ წარმოვადგენ რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციის ხელისუფლებას და მაქვს რწმუნება განვაცხადო: ეს ხმები არასწორია. რუსეთს მთავრობა თითოეულ ხალხს ანიჭებს სრულ უფლებას ჰქონდეს თავისი კანონებისა და ჩვევების შესაბამისი მმართველობა. საბჭოთა ხელისუფლება შარიათს მიიჩნევს ისეთივე უფლებების მქონედ, ჩვეულებით სამართლდ, როგორიც აქვთ რუსეთში მოსახლე სხვა ხალხებს. თ დაღესტნელ ხალხს სურს

შეინარჩუნოს თავისი კანონები და წესები, მან უნდა შეინარჩუნოს ის!“ [ნ. ხუციშვილი, 2002:103]

ფაქტია, რომ მაშინდელი რუსეთის ახალი ხელმძღვანელობაც ხვდებოდა ამ ხალხში არსებული სამართლის მნიშვნელობას და ცდილობდა მათი გული მოეგო ამ სამართლის აღიარებით, ზოგადად ისტორიაში არსებობს ბევრი ფაქტი, როდესაც წინააღმდეგობის შიშით ან უბრალოდ ასეთის თავიდან ასაცილებლად დამპყრობელი ხალხს ჰპირდება მისი იდენტობის და წესის მაქსიმალურად შენარჩუნებას, შემდგომში კი, როცა ის მყარად ფეხს მოიკიდებს, რა თქმა უნდა ამას არ ასრულებს ხოლმე. ასეთი მაგალითია დაღესტნის ეს ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც, რამაც დაღესტნელები დიდად კმაყოფილნი დატოვა, რადგან თავად ტექსტი იყო ძალიან მისაღები, რელიგიის პრინციპებიც დაცული და ამის აღსრულების ნებასაც ჰპირდებოდა რუსეთი ხალხს. საინტერესო ფაქტია ის, რომ მსგავსი ტექსტით, დაპირებით კომუნისტურ მთავრობას ვაინახებისთვის არ მიუმართავს, ეს ლოგიკურიც იყო, ვაინახები ამ სამართალს ასეთ ასეთ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ.

- *§ 1.2ისლამი და შარიათი ვაინახებში*

დაღესტნელებისგან განსხვავებით, ვაინახებს მსოფლიოს ძირითადი კონფესიების ნაკლები ისტორია აქვთ და ბოლომდე ტრადიციული, საკუთარი რელიგიის ერთგულებად რჩებოდნენ. მართალია იყო როგორც საქართველოდან ქრისტიანობის, ასევე დაღესტნიდან ისლამის გავრცელების მცდელობები და კერებიც, თუმცა ამას მასშტაბური ხასიათი არ მიუღია, ამას მოწმობს თუნდაც იმ ძველი რელიგიური შენობებისსიმცირე, რაც ვაინახებთან არის შემორჩენილი. მაგრამ აღსანიშნავია ძველი რელიგიური ძეგლებიც, რომლებიც აღმოჩენილია ვაინახებში, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში.მაგალითად, ჩეჩნეთში შაროიში, ასევე ჰაიბახში და სხვა დიდ დასახლებებში არსებული ძველი, ვაინახური არქიტექტურის მეჩეთები, ასევე ინგუშეთში ტაძრები თხაბა - ერდი და ალბი-ერდი, ლეილა მარგოშვილის მოსაზრებით თხაბა-ერდი იყო ძველი ვაინახური რელიგიის ტაძარი, რომელიც შემდეგში ქრისტიანულ ტაძრად გადაკეთდა.

საქართველოს როცა გააჩნდა გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაზე, არსებობდა მცდელობები რომ ქრისტიანობა გაევრცელებინათ, ამის მაგალითები ჩემს მიერ ზემოთ ნახსენები ტაძრებიც არის, თუმცა დაღესტანში დათუნას ეკლესია და სხვა ძეგლებიც მოწმობს, რომ ეს მხოლოდ ვაინახებში არ იყო და ლოგიკურიცაა, ქრისტიანული გავლენაც, როგორც ისლამური, კავკასიაში ძლიერი იყო. თუმცა საქართველოს რელიგიის გავრცელება დიდხანს არ დასცალდა, რადგან ისXIV – XV საუკუნეებში თავის ძლიერებას კარგავს და შესაბამისად გავლენებსაც მეზობელ ერებზე. მართალია ამავე პერიოდიდან

ნელ-ნელა იწყება ისლამის მასიური გავრცელება ჩრდ. კავკასიაში და ამ საქმეში პიონერები თურქულენოვანი კავკასიის მოსახლეობაა, თუმცა ვაინახებში ამ პერიოდშიც კი არ იღებენ მასიურად ამ რელიგიას და რჩებიან ტრადიციული რელიგიის ერთგულები.

მასშტაბურად ვაინახების მიერ ისლამის მიღება უკავშირდება XVII - ე საუკუნის ბოლოს ჩეჩენი ლიდერის, უშურმას სახელს, რომელიც ჩვენთვის ცნობილია როგორც შეიხ მანსური. უშურმას იმამობის პერიოდში (1785 – 1791) ვაინახები აქტიურად იღებენ ისლამს და უერთდებიან მის მოძრაობას რომელიც არის რუსეთის იმპერიის მიერ მათი დაპყრობის წინააღმდეგ წარმოებული მოძრაობის ლიდერი. შეიხ მანსურის მოძღვრებაც იმავე იდეებით იყო გაჯერებული, რა იდეებიც შემდგომში იმამათის ლიდერებს ჰქონდათ და ეს იყო წინააღმდეგობა რუსეთის მიერ კავკასიელების დაპყრობის შეჩერება და ამისთვის ის ხალხს რელიგიის გარშემო აერთიანებდა. რელიგიის გავრცელება ვაინახებში ასევე გრძელდება XIX - ე საუკუნის დასაწყისშიც, ამ შემთხვევაში ძირითადად დაღესტნელი იმამების მიერ.

ამ პერიოდში ვაინახებმა ისლამი აიტაცეს და მასიურად მიიღეს.ძალიან საინტერესოა ის მიზეზები, რა მიზეზებსაც უნდა მიეყვანა ვაინახები ისლამის მიღებამდე. შეიძლება ზოგმა იფიქროს, რომ ეს იყო რამე მატერიალური დაინტერესებით ან დაძალების შედეგად, მაგრამ ეს არ შეესაბამება სიმართლეს. რა თქმა უნდა იყო ასეთი ფაქტები, რელიგიის გავრცელების პერიოდში ხდებოდა იძულებაც, მაგრამ ეს ვაინახებისთვის არ ყოფილა, მათ აქამდეც ჰქონდათ სხვადასხვა ძალებისგან ასეთი მეთოდები ნანახი, მაგრამ მათ ბოლომდე მოიტანეს თავიანთი ტრადიციული რელიგია, რომელსაც წარმართობის სახელით ვიცნობთ.

აღსანიშნავია, რომ ვაინახებში ოსმალეთი იმპერიაც, რომელსაც ისლამის გავრცელება უნდოდა და რუსეთის იმპერიაც, რომელსაც ქრისტიანობის გავრცელება უნდოდა ერთნაირ ხერხებს იყენებდა ვაინახებში თავისი გავლენის რელიგიის გავრცელებისთვის.[ხ. ხანგოშვილი, 2005:108], თუმცა ისლამმა ამ ,,დუელში“ მოიგო და ამის მთავარი მიზეზი ზუსტადაც, რომ თავისუფლებისკენ სწრაფვაა.

მთავარი ფაქტორები კი ჩემი დაკვირვებით იყო:

1- ისლამი არის ვაინახების დაუძინებელი მტრის, რუსეთის რელიგიის, ქრისტიანობის ოპონენტი რელიგია.

2- ისლამში არის თავისუფლება, იდეა თავისუფლებისთვის ბრძოლისა, რადგან იმ პერიოდშიც, ახლაც, ზუსტად ის იდეოლოგია ჰქონდა ვაინახებისთვის ისლამს და ის დატვირთვა, რომ მოეპოვებინათ თავისუფლება (რა თქმა უნდა ეს არ გულისხმობს, რომ სხვა რელიგია ამას კრძალავს).

3- ვაინახებს შეეძლოთ სხვა მუსლიმებთან ერთად შეეკრათ კავშირი და ერთიანი ძალებით ებრძოლათ, ეს შემდეგში უშურმას და შამილის მიერ წარმოებულ წინააღმდეგობრივ მოძრაობაშიც აისახა.

უშურმა, რომელიც არის ვაინახებში რელიგიის ფართოდ გავრცელების პირველი წარმატებული მოქმედი პირი, დაიბადა 1760 წელს ჩეჩნეთში, სოფელ ალდი-ში, ის ძალიან მონდომებული იყო, ასევე ცოდნის მიღების სურვილი ჰქონდა ძალიან დიდი და ზუსტად ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ მან დაიწყო მოგზაურობა კავკასიის სხვადასხვა მხარეში, სადაც ის ეცნობოდა ისლამურ რელიგიას, მის დოგმატიკას. 1785 წლიდან კი ის უკვე იწყებს ამ მიმართულებით მოღვაწეობას, მიღებული ცოდნის გაზიარებას დანარჩენ საზოგადოებაში. უშურმას გააჩნია ლიდერისთვის აუცილებელი თვისებები, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მან დიდი პატივისცემა მოიპოვა თავის ხალხში, ის არის ძალიან კარგი ორატორი, პრინციპული და მიზანდასახული, რომელიც მას შემდგომში ამ რელიგიის გავრცელებაში დაეხმარა კიდეც. (ზ. გუმაშვილი, 2010).

ხალხის წინაშე გამოსვლების დროს, ის ქადაგებს სოციალურ თანასწორობას, ცდილობს ფენებს შორის არსებული განსხვავებების მოსპობას და ამისთვის ის ძალიან ოსტატურად იყენებს ისლამის ფაქტორს, სადაც ღმერთის წინაშე ყველა თანასწორია და ამის გამო ხალხებს შორის არსებული განსხვავება, რომელიც გულისხმობს ფენებად დაყოფას, იყო უკანონო ღმერთის წინაშე. მეტიც, მისი მომხრეები დადიან სხვადასხვა აულებში, აგროვებენღარიბებისთვისშემოწირულობებს და შემდეგ უკვე ამას გაჭირვებულებს ურიგებენ. ამ პერიოდისთვის რა თქმა უნდა უკვე არსებობს სხვადასხვა დასახლებებში ისლამის კერები და იქ მოლებიც არიან, შეიხმა კი თავისი ქმედებებით მათი

გულის მოგებაც შეძლო და ისინი მანსურს მიემხრნენ, ის გახდა ლიდერი. მისი იდეა იყო კავკასიელთა გაერთიანება მომხდარიყო ისლამის დროშის ქვეშ და შემდგომ დაეღწია თავი რუსული დაპყრობისგან. აღსანიშნავია, რომ მისი მომხრეების აბსოლუტური უმრავლესობა შეადგენდა კავკასიელ გლეხებს, რომლებიც ძალიან შეწუხებულები იყვნენ როგორც რუსეთის, ასევე თავიანთი ფეოდალების მიერ, იმ ფეოდალების მიერ, რომლებიც თავის მხრივ თანამშრომლობდნენ რუსებთან და ექვემდებარებოდნენ მათ.

უშურმას მოქმედებები რუსებისთვის არასასიამოვნო და კავკასიის დაპყრობის და შემდეგში მთლიანად ათვისების საქმეში ძალიან საშიში იყო, რის გამოც ისინი ავრცელებდნენ პროკლამაციებს და აფრთხილებდნენ, რომ თუ მანსურს დაუდგებოდნენ გვერდში, მათ დასჯიდნენ, თუმცა ამას კავკასიელ ხალხზე დიდი გავლენა არ მოუხდენია, მისი ავტორიტეტი ისე გაიზარდა და განმტკიცდა, რომ შემდეგში მას მანსურს არქმევენ, რაც არაბულად გამარჯვებულს ნიშნავს.

მანსური ისეთი პოპულარული გახდა ხალხში, რომ მას ხშირად ძალიან გადამეტებულადაც აფასებდნენ, რაც თავად ისლამის დოგმების წინააღმდეგაც კი მოდიოდა, ეს იყო მისი წარმოდგენა, როგორც მოციქული, რაც თავად მანსურის იდეა საერთოდაც არ იყო.

ხალხის მიერ გმირის და მოციქულის დონემდე მის აყვანა , როგორც თავად უშურმამ თქვა, არ იყო მისი პირადი მიზანი და არც დაუძალებია ვინმესთვის,რომ ის ეცნოთ მოციქულად. რუსების მიერ მისი დაკითხვისას მან თქვა: *,,მე არ ვიყავი არც ემირი, არც მოციქული, არასდროს საკუთარ თავს ასე არ მოვიხსენიებდი, მაგრამ არ შემეძლო წინააღმდეგობა გამეწია იმისთვის, რომ ხალხს ასეთად არ წარმოვედგინე, რადგანაც ჩემი აზრების ერთობლიობა, წესი ჩემი ცხოვრებისა მათ სასწაულად მიაჩნდათ.*“[ზ. გუმაშვილი 2008:96]

შეიხ მანსურის მოღვაწეობის პერიოდში ვაინახებში სამართლებრივი სიტუაცია განსხვავებული იყო, ამ პერიოდში შარიათის დამყარება ცოტა შორი პერსპექტივა ჩანდა, რადგან ის თავადაც ავრცელებდა ისლამს და ამ პერიოდში თავად რელიგიის გავრცელება

უფრო სწორი, მისაღები და ლოგიკური იყო, ვიდრე სამართლის, რომელიც ამ მომენტისთვის უდროო ოყო. შესაბამისად სამართალწარმოება ადათის მიხედვით ხდებოდა.

უშურმას მიერ წარმოებულმა რიგმა მოქმედებებმა და მისმა ავტორიტეტმა განაპირობა ვაინახებში ისლამის გავრცელება, მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ეს მოხდა სწრაფად და უმტკივნეულოდ. ვაინახების მიერ რელიგიის მიღების პროცესი საკმაოდ გაჭიანურდა, იყო თემები, სადაც არც ისლამი და არც ქრისტიანობაარ იყო გავრცელებული და ისინი ინარჩუნებდნენ ტრადიციულ რელიგიას. თუმცა ასევე არსებობდა თემები, მაგალითად თიანეთის მაზრის სოფელში დასახლებული ქისტები, რომლებიც გაქრისტიანდნენ, თუმცა ამან შედეგი ის მოგვცა, რომ ამან ძალიან დააჩქარა მათი ასიმილაცია, ასევე ამ თემშიც იყვნენ ქისტები, რომლებმაც შეძლეს და შეინარჩუნეს თავიანთი მამა-პაპური კულტი და ის გადმოიტანეს აქ, საქართველოში, პანკისის ხეობაში(ხანგოშვილი, 2005).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქისტების გადმოსახლების პერიოდში მათი ძალიან დიდი ნაწილი მამა-პაპურ რელიგიას მისდევს, არიან მუსლიმი ქისტებიც, არის ასევე ქრისტიანი ქისტების ნაწილიც. შესაბამისად პანკისის ხეობაში დასახლების პერიოდში ქისტებში რელიგიური სიჭრელე ჩანდა და სავარაუდოა რომ ზოგადად ვაინახურ საზოგადოებაში ამ პერიოდში იგივე სურათი არსებობდა, რაც პანკისელ ქისტებში.უნდა აღინიშნოს რომ, იმ პერიოდიდან მოყოლებული, ვაინახებში დღემდე მოვიდა რელიგიის ქოლგის ქვეშ გაერთიანება, მაგრამ ამჟამად ამას უკვე სხვა სარჩული ეძლევა და ამის ძალიან კარგი მაგალითი არის ჩეჩნეთ-რუსეთის ომები, მეორე ომში რელიგიის წინა ფლანგზე წამოწევის გამო და ამას დამატებული მსოფლიოში იმ დროისთვის მიმდინარე პროცესების გამო, ეს ყველაფერი ისევ ძალიან კარგად გამოიყენა რუსეთმა და მათ ტერორიზმი დააბრალა, მათი ბრძოლა თავისუფლებისთვის კი სისხლში ჩაახშო.

თავად პანკისის ხეობაში მცხოვრები ვაინახები კი ბოლო პერიოდამდე ტრადიციული რელიგიის წარმომადგენლები იყვნენ, მუსლიმებიც კი ასრულებდნენ ზოგ წარმართულ

რიტუალს, რომელიც მათ თავიანთი რელიგიიდან ახსოვდათ, პანკისის ზოგ სოფელში ისლამის გავრცელება მხოლოდ მეოცე საუკუნის დასასრულისთვის მოხდა.

თავი II

შამილის იმამატი: თეოკრატიული თუ საერო სახელმწიფო?

სახელწოდება: კავკასიის იმამატი.

კონსტიტუცია: შამილის მმართველობის პერიოდში იქნა მიღებული 13 ნიზამი იგივე მუხლი, რომელიც ადგენდა იმამატში როგორც სისხლის სამართლის,ასევე ადმინისტრაციული კანონებს.

არსებობის პერიოდი: 1828 – 1859 წ. წ

მმართველები: ღაზი - მუჰამედი (1828 – 1832), ჰამზათ ბეგი (1832 – 1834) , შამილი (1834 – 1859).

დედაქალაქი: ახულგო (დაღესტანი), დარგო, ვედენო (ჩეჩნეთი).

შამილს არ ჰქონდა ერთი არჩეული დედაქალაქი, რაც რუსებს უძნელებდა იმამატის დაპყრობას.

ენა:იმამატში სახელმწიფო ენა იყო არაბული, ყველა ოფიციალური დოკუმენტი თუ მიმოწერა არაბულ ენაზე იწარმოებოდა.

სასამართლო: რაც შეეხება სასამართლო სისტემას, შამილი იყო უზენაესი მოსამართლე იმამატში, სიკვდილის დასჯის გადაწყვეტილებას უმეტესწილად იმამი იღებდა. შამილი ასევე არის იმამატის არმიის მთავარსარდალი.

პარლამენტი:მისი მმართველობის პერიოდში არსებობდა დივან-ხანა, რაც ამჟამინდელი გაგებით შეიძლება შევადაროთ პარლამენტს და აქ სხდომებში მონაწილეობას იღებდნენ არა მხოლოდ ნაიბები, იგივე გუბერნატორები ფართო უფლებებით, ასევე იყვნენ ისლამის სწავლულები და მოლებიც.

ტერიტორიული დაყოფა:იმამატი შედგებოდა 33 სანაიბოსგან, საიდანაც 9 სანაიბო იყო ჩეჩნური, ხოლო 24 დაღესტნური.

არმია:როცა იმამატი თავის აღზევების ხანაში იყო, შეეძლო 40 000 მეომარი გამოეყვანა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იმამატის არმიას ასევე ჰყავდა პოლონელი, რუსი, უნგრელი, კაზაკი და სხვა ეროვნების დეზერტირები, რომლებიც გამოქცეულები იყვნენ თავიანთი ქვეყნიდან.

"იმამატში ბევრი ეროვნება ცხოვრობდა, როგორც კავკასიელი, ასევე არა კავკასიელიდა რაც მთავარია სხვა რელიგიის წარმომადგენლები, რომლებიც ამ განსხვავებულობის გამო როგორც ცნობილია, არ დაუხოცავთ და არ დაუძალებიათ. შამილი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა განათლებას და ამისთვის ის ხსნიდა მედრესეებს, სადაც შესაძლებელი იყო როგორც ყურანის სრულფასოვნად შესწავლა, ასევე მათემატიკის და სხვა საგნების გავლა." [Дадаев, 2013:142] ქვეყანაში არსებობდა საგადასახადო სისტემა, კანონები ,,ნიზამები" რომელსაც შამილის კონსტიტუციასაც ეძახიან.

ნიზამი I: *ჯარიმების სისტემა (ფულადი ჯარიმა).*

რომელიც განკუთვნილი იყო კაცებისთვის, ქალები ამ ჯარიმისგან თავისუფალნი იყვნენ. ფულადი ჯარიმა შეიძლებოდა დაეკისრებინათ შემდეგი დანაშაულებებისთვის:

1. ქურდობა.
2. სამხედრო სამსახურზე უარის თქმა.
3. ქალისთვის განზრახ შეხება.

ეს ნიზამი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ისლამური სამართლის მიხედვით ქურდობისთვის არსებობს მძიმე სასჯელი, რაც ხელის მოჭრას გულისხმობს. თუმცა ამ შემთხვევაში არსებობს ერთი ფაქტორი, გამონაკლისი რომელსაც შარიათი უშვებს განსაკუთრებულ შემთხვევებში,ესენია: 1) ომიანობის პერიოდი, 2) მცირე ქურდობა,3) უკიდურესად გაჭირვება სახელმწიფოში.

წვრილმანი ქურდობა არის შარიათის სამართლის მიხედვით, 1გრამ ოქრომდე ღირებულების ნივთის ქურდობა.

ვინაიდან ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, თუ რა სახის ქურდობაზე ჰქონდა შამილს ახალი კანონი, ძნელია გამოვიტანოთ დასკვნა ამ ნიზამიდან გამომდინარე, ეს დამატებით მოკვლევას საჭიროებს.

თუმცა ზემოთხსენებულ შემთხვევებში მას შეეძლო შარიათის სამართლით ხელის მოჭრა, სხვა სასჯელით ჩაენაცვლებინა იმ საბაბით, რომ მისი სახელმწიფო იყო მუდმივად ომში.

ნიზამი II: საჯარო ადგილებში ქცევის ნორმა (ჩხუბი).

კავკასიელებში ძალიან ხშირი იყო ჩხუბები, კავკასიელთა ფიცხი ხასიათებიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში კი შეიძლებოდა ასეთი დაპირისპირება ვინმეს სიკვდილით დასრულებულიყო, რაც თავის მხრივ სისხლის აღების ტრადიციამდე მიდიოდა და საბოლოოდ ამას ძალიან მძიმე შედეგები მოჰქონდა საზოგადოებისთვის. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შამილმა მიზნად დაისახა ამ მავნე ჩვევის მოშლა და ამისთვის სპეციალური კანონი მიიღო. ამ კანონის მიღებისთვის შამილს ასევე ჰქონდა საფუძველი ისლამში, რომელსაც ის იყენებდა კიდეც. საქმე მდგომარეობს შემდეგში, თუ ვინმე მივა სხვის საკუთრებაში არსებულ დაწესებულებაში და ჩხუბობს, ამ შემთხვევაში ის ძალიან მკაცრად უნდა დაისაჯოს.

,,ადამიანი, რომელიც გაბედავს და საჩხუბრად შევა სხვის სახლშიან ეზოში, ის ძაღლივით მოსაკლავია.“

შამილის ნიზამი საკმაოდ მკაცრი იყო ამ შემთხვევაში და ამ მავნე ჩვევას ბოლოც მოუღო.

ნიზამი III: *მემკვიდრეობის შესახებ.*

მემკვიდრეობის საკითხი ხშირად ხდებოდა სადაო, როდესაც დავის გადაწყვეტა უნდოდათ, მიმართავდნენ ადათობრივ სამართალს, ხოლო თუ ადათობრივი სამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ მოეწონებოდა რომელიმე მხარეს, შემდეგ დავა მიდიოდა შარიათის სასამართლოში. ხშირ შემთხვევაში ხდებოდა ისე, რომ მოდავე მხარეები სხვადასხვა სასამართლოს ირჩევდნენ და შემდეგ მათი დავა დაუსრულებელი იყო ხოლმე. ამის გამო შამილს მოუწია ამაზე კანონის, იგივე ნიზამის მიღება, რის შემდეგაც ყველა ასეთი დავა იხილებოდა კონკრეტულად ამ კანონის მიხედვით.

ნიზამი IV: *ქორწინების შესახებ.*

ეს კანონი მიღებული იყო ძირითადად ჩეჩნეთის გამო, სადაც ქალის გათხოვების შემდეგ ვაჟის მიერ გადასახდელი თანხა იყო მაღალი, მაშინ იმამატში არსებულიეკონომიკური სიტუაცია კი ამის საშუალებას არ იძლეოდა. შამილისვე სიტყვებით, მან ნახა ჩეჩნეთში *,,უმეტესობა გოგოების ნაცრისფერი თმებით და დაძაბულები, რომლებმაც მთელი საუკუნე მარტოობაში გაატარეს.*‘[ლ. გუმაშვილი 2015:74]. გადასახადი, რომელიც ბიჭს გოგოსთვის უნდა გადაეხადა, იყო ძალიან მაღალი 80 დან 200 რუბლამდე, რომელიც ვერცხლით უნდა გადაეხადა, შესაბამისად დიდი ნაწილი ახალგაზრდებისა ამ გადასახადის შეგროვების დროს ასაკში შედიოდა კიდეც, ან საერთოდ ვერ ქორწინდებოდნენ. ბევრი კი გოგოს იტაცებდა, ეს უმეტეს შემთხვევაში ქალ-ვაჟის ქორწილით სრულდებოდა და რაც მთავარია, ასეთი ქორწინება მას ამ გადასახადისგანაც ათავისუფლებდა, მაგრამ ამ შემთხვევაში მდევრები თუ დაეწეოდნენ, შეიძლებოდა მომხდარიყო მკვლელობა.შამილმა კი ეს გადასახადი ძალიან მნიშვნელოვნად შეამცირა, 20 რუბლამდე. (Л. П. Рассказов, В. Л. Рассказов, 2014).

შამილის ნიზამი, რომელიც ქორწინებას ეხებოდა ძალიან მნიშვნელოვანი იყო მისი მმართველობის პერიოდში, სამწუხაროდ,მუდმივ ომიანობაში მყოფი სახელმწიფო კარგავდა ძალიან ბევრ მეომარს და მნიშვნელოვანი იყო მოსახლეობაში შობადობის მატება, ამის გამო შამილი ცდილობდა მაქსიმალურად შეეწყო ხელი ქორწინებისთვის. ზოგ შემთხვევაში კი ცდილობდარომ ქალებს, იმამათში ქორწინების ლოგიკურად მიჩნეულ 17 წლისასაკს,არ გადაეცილებინა. მართალია, შარიათი ამგვარ მიდგომას არ იწონებს, მაგრამ შამილს,ზემოთაღნიშნული მიზეზიდან გამოდინარე, ეს ნიზამი ესაჭიროებოდა.

ნიზამი V: *განქორწინების შესახებ.*

განქორწინება კავკასიელებში ძალიან ადვილი იყო, ადათი ქალს არ იცავდა, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ქმარი სიმთვრალეში იტყოდა რომ განვქორწინდით და ქალი რჩებოდა ქვრივად. მართალია ძალიან ხშირად, ასეთ დროს განქორწინებულები ისევ რიგდებოდნენ, მაგრამ მთავარი საკითხი აქ იყო ის, რომ ქალისთვის ძალიან შესამჩნევი იყო თუ რამდენად დაუცველი იყო ის ამ დროს. ის გრძნობდა მის სისუსტეს და დაუცველობას. შამილის მიერ ალკოჰოლის აკრძალვას და განქორწინების შარიათის ნორმებში მოქცევას მოჰყვა ის, რომ სიმთვრალეში ქალებს აღარ ტოვებდნენ, ზოგადად განქორწინების რიცხვმაც საგრძნობლად იკლო.

ნიზამი VI: *ვაჭრობისა და საქონლის მიმოცვლის შესახებ.*

კანონი მიღებული იყო იმისთვის, რომ მომხდარიყო ყიდვა-გაყიდვის რეგულირება, ვინაიდან სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია არსებობდეს ადგილობრივი ბაზარი და ეს წარმოადგენს სახელმწიფოებრიობის მნიშვნელოვან ღერძს.ვაჭრობის კანონის ფარგლებში მოქცევა წარმოადგენდა აუცილებლობას, შამილმა რა თქმა უნდა ეს იცოდა და ამისთვის მან სპეციალური კანონიც შეიმუშავა, სადაც დაადგინა როგორ, რა ფორმებში უნდა მომხდარიყო საქონლის მიმოცვლა.

ნიზამი VIII: *სახელმწიფო მოწყობაზე.*

ამ კანონით შამილმა ქვეყანა დაყო სანაიბოებად, სადაც ნაიბებს მისცა ფართო უფლებები, ამ კანონის მიღებამდე სხვადასხვა სოფლებს, ხეობებს თუ თემებს, მართავდნენ

ან უხუცესებიან მოლები, რომლებიც ლოგიკურია არ იყვნენ სახელმწიფო მოხელეები. კანონის მიღებით კი შამილმა მოაქცია ეს კანონის ფარგლებში, დაყო სანაიბოები და შემდგომში უკვე ისინი მართავდნენ ამ ტერიტორიულ ერთეულებს.

ნიზამი IX: *სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადმინისტრაციული პირების სარჩოს შესახებ.*

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორც ყველა სახელმწიფოსთვის, შამილის იმამატისთვისაც იყო ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი, რომელიც საჭირო იყო იმ საჯარო მოხელეებისთვის, რომლებიც მუშაობდნენ შამილის სახელმწიფოს ადმინისტრაციაში. თავიდან როგორც ეს ისტორიულად მომდინარეობდა, შამილი ამ სარჩოს უხდიდა შამხლებს, ბეგებს.მაგრამ როცა შამილმა მიიღო ეს კანონი ადმინისტრაციული დაყოფისა და შემდეგში უკვე ამ ადმინისტრაციის ხელმძღვანელებად ნაიბების დანიშვნის შესახებ, რა თქმა უნდა დღის წესრიგში დადგა საკითხი ამ ნაიბებისთვის დაეწესებინათ გასამრჯელო სახელმწიფოსთვის გაწეული სამსახურისთვის, შამილმა ეს ამ კანონით მოაგვარა კიდეც.

ბიუჯეტიდან თანხა რამდენიმე მიმართულებით გაიცემოდა, ესენი იყო:

1. სწავლულები (არაბისტები).
2. გაჭირვებული ობლები.
3. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.
4. დამატებითი ხარჯები სხვადასხვა საჭიროებებისთვის.

შამილი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ თანხის სწორად განკარგვას, ასევე ის ყოველთვის მოუწოდებდა ნაიბებს, რომლებსაც ევალათ მათ სანაიბოებში ბიუჯეტიდან თანხის გაცემა, ყოფილიყვნენ სამართლიანნი. *,,ყველაზე მეტი მას, ვინც ყველაზე გაჭირვებულია*“[ლ. გუმაშვილი, 2015:75] ამბობდა ის. მაგრამ როგორც ჩვენთვის ცნობილია, ზოგი ნაიბი ამას სათავისოდ იყენებდა და იხვეჭდა ქონებას, რაც იწვევდა სახელმწიფოს დასუსტებას ამ მძიმე პერიოდში, ზოგი ნაიბის უსამართლობით შეწუხებულები რუსეთის იმპერიას უკვე როგორც გადამრჩენელს, ისეც კი უყურებდა ხოლმე.

მნიშვნელოვანია ეს კანონი, რადგან არსებობდა სოციალური დახმარება, რომელიც როგორც უკვე კანონშიც არის აღნიშნული, ჰქონდათ იმამათის მცხოვრებლებს.

ნიზამი X: *ომში და თავდასხმების დროს მოპოვებული ქონების გაყოფის წესის შესახებ.*

მართალია შარიათს აქვს თავისი დადგენილი წესები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადანაწილდეს ნაალაფარი, მაგრამ ამ შემთხვევაში შამილმა ეს შეცვალა ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე.

სევე ნადავლის გაყოფის წესი აქვს შარიათს ხალიფატის არსებობის შემთხვევაში, მან უნდა გამოყოს ნადავლის ¼ ხალიფისთვის, რომელიც იმ პერიოდში იყო ოსმალეთი და მისი სულთანი, მაგრამ შამილი მას არ აღიარებდა როგორც მის ხალიფს, შესაბამისად ის არაფერს არ უხდიდა ოსმალეთის სულთანს, რაც ასევე მნიშვნელოვანი და საგულისხმო ფაქტია.

ნიზამი XI: *ფულის გაყალბების შესახებ.*

შამილი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და განვითარებას ცდილობდა, შესაბამისად მას სჭირდებოდა ასეთი კანონი, რომელიც ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი იყო, ყალბი ფულის მიმოქცევა ქვეყნის საერთო ეკონომიკას დიდ დარტყმას აყენებდა, სწორედ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის ბრძოლის ნაწილი იყო შამილის ეს კანონიც.

ნიზამი XII: *სამხედრო დაწესებულებების შესახებ.*

ამ კანონის მიხედვით დგინდებოდა ძალოვანი სისტემის სტრუქტურა, მათი დაყოფა იერარქიის მიხედვით, არსებობდა ათეული, ორმოცდაათეული, ასეული, ხუთასეული. ყველა სრულწლოვანი ვალდებული იყო შეესწავლა სამხედრო საქმე, მზად ყოფილიყო ომისთვის. რა თქმა უნდა ამ დანაყოფებს თავიანთი მეთაურებიც ჰყავდათ, ესენი იყვნენ ნაიბები, მურთაზეკები, მაზუნები. ზოგი რუსი მწერალი ან სამხედრო მეთაური აღნიშნავდა, რომ შამილს არ ჰქონდა იერარქიულად დალაგებული არმია, თუმცა ეს სავარაუდოდ იმისთვის იყო, რომ შამილი როგორც ველური, ისე წარმოეჩინათ, რომელსაც არ ესმოდა სამხედრო საქმე, თუმცა რა თქმა უნდა ეს ასე არ იყო.

ნიზამი XIII: *აკრძალვა.*

შამილი ამ ნიზამით კრძალავდა როგორც ალკოჰოლს, ასევე სიგარეტს, ცეკვას, სიმღერას და ასე შემდეგ,რომლებსაც ასევე შარიათი კრძალავს, თუმცა ზოგ შემთხვევაში უშვებდა ამას, მაგალითად ცეკვა შეიძლებოდა ქორწილში, ოღონდ ქალებს ცალკე ოთახში უნდა ეცეკვათ, ხოლო კაცებს ცალკე. მთელი რიგი აკრძალვები იყო ჩამოთვლილი და შესაბამისად ის დასჯის მეთოდები, რომელიც კანონის დარღვევას მოჰყვებოდა. ასეთი ერთ-ერთი მაგალითად იყო ის, რომ ვისაც სხვა დროს ცეკვაში შენიშნავდნენ, სახეზე ლაფს წაუსვამდნენ, ვირზე შესვამდნენ და ასე ატარებდნენ ქუჩაში. ასევე აკრძალული იყო ღვინის გამოხდა, როგორც გაყიდვა.

შამილის მიერ მიღებული ეს ნიზამები, შეიძლება მივიღოთსაწყისად თეოკრატიულ სახელმწიფოში საერო შტრიხების დამკვიდრებისა. კიდევ ერთი ფაქტი, რომ შამილის ნიზამებიდან ზოგი, მაგ: ,,ქორწინების შესახებ" შედგენილი იყო კონკრეტულად ერთი რომელიმე ხალხის საჭიროებებიდან გამომდინარე, ვფიქრობ ნიშნავს იმას, რომ იმამატს ჰქონდა შესაძლებლობა, ჩამოყალიბებულიყო და შემდეგში განვითარებულიყო როგორც ადგილზე მცხოვრები ხალხების ტრადიციებისა თუ კულტურის გათვალისწინებით, ასევე საერთო ქვეყნისთვის საჭირო კანონების შედგენით, რისი საწყისიც ვფიქრობ არის ნიზამები.

შამილის იმამატი თავის არსში ცალსახად გვევლინება როგორც რელიგიური, თეოკრატიული სახელმწიფო და ვფიქრობ თავდაპირველად ამ იმამატის გამომცხადებელ ღაზი მოლასაც იდეაში ზუსტად იმამატის, როგორც რელიგიური, ანუ თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნის იდეა ჰქონდა. იმ პერიოდში ის არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგან ძალიან ბევრი სახელმწიფო იმართებოდა ძირითადად რელიგიური მოტივებით, განსაკუთრებით ისლამურ სამყაროში, აქვე მყოფი ოსმალეთის იმპერია რომ გავიხსენოთ. თუმცა შამილს უფრო მაღალ დონეზე ჰყავდა აყვანილი სახელმწიფოებრიობის იდეა და კავკასიის ხალხთა ერთიანობა, ამისთვის ის ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ და პირველი, ყველაზე მნიშვნელოვანი, თუნდაც დღევანდელი გადასახედიდან, იყო ამ ხალხის გაერთიანებისთვის სწორი და გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი ნაბიჯები. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ არც დრო და არც მოსვენება რუსებისგან შამილს არ ჰქონია რომ ესენი

საფუძვლიანად განეხორციელებინა და ამის გამო მას ძალიან ხისტი პოლიტიკა უნდა გაეტარებინა.

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ეს იყო საერთო, ერთიანი სამართალწარმოების სისტემის დანერგვა იმამატში, თუმცა ბევრად უფრო უმტკივნეულო პროცესი იქნებოდა ეს, ნელა, ხალხის შეჩვევით რომ განეხორციელებინა, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მას ძალიან ცუდ გარემოებაში მოუწია არსებობა, ყოველი მხრიდან მტრის გარემოცვაში. ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ რუსეთის მფარველობის მოთხოვნით იმამატის და ზოგადად ვაინახების და დაღესტნელების დამოუკიდებლობის საკითხი ვფიქრობ შეუძლებელი გახდა, რადგან ეს პირდაპირ ნიშნავდა იზოლაციაში, ალყაში მოქცევას ამ ერებისა, თუმცა ცდა იმისა, რომ შექმნილიყო ჩრდ. კავკასიელთა თავისუფალი, სუვერენული სახელმწიფო, ნამდვილად არის ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონე, მან კავკასიელ ხალხს დაანახა, რომ შესაძლებელია თავისუფლად არსებობა.

ზოგი ისტორიკოსი თავისი სუბიექტური დამოკიდებულების გამო ცდილობს შამილს ხან ევროპის, ხანაც ოსმალეთის აგენტობა მიაწეროს, თუმცა შამილის იმდროინდელი მოქმედებებიდან ნათლად ჩანს, რომ მისი იდეა იყო საკუთარი სახელმწიფოებრიობა, სახელმწიფოს მშენებლობა და სულაც არ ფიქრობდა რომ ის უნდა ყოფილიყო რომელიმე გარე ქვეყნის მორჩილი ან მისი იმამატი ყოფილიყო რომელიმე ქვეყნის შემადგენლობაში მყოფი. აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი, ზოგადად ისლამური სამყაროს იდეა დგას ხალიფატის იდეაზე და რელიგიაც ამას მოუწოდებს მიმდევრებს. ამ შემთხვევაში ძალიან ლოგიკური იქნებოდა შამილის მიერ ქვეშევრდომობის გამოცხადება ოსმალეთის იმპერიისთვის, რომელიც იმ დროისთვის ხალიფატად იყო წოდებული და ჩვეულებრივ შამილი ამ თავისი ტერიტორიებით უნდა დამორჩილებოდა ხალიფატს და გამხდარიყო ვილაიეთის ხელმძღვანელი. ამის მაგივრად იმამი თავად აარსებს ვილაიათებს, თავად არის იმამი და არავის მის თავზე მაღლა არ ხედავს, გარდა ღმერთისა.

იმდროინდელ იმპერიებზე შამილის დამოკიდებულება კარგად ჩანს მის ერთ-ერთ ნათქვამში:

,,მე ყველა ერთნაირად მძაგს, თურქეთის სულთანიც, ირანის შაჰიც და რუსის ხელმწიფეც, რადგანაც ყველა ისინი მთიელების მტრები არიან“(ტარტარაშვილი, 1981: 83]

ცალსახაა, რომ მისი დამოკიდებულება მაშინდელი დიდი ისლამური იმპერიების მიმართ იყო იგივე, რაც ჰქონდა რუსეთის იმპერატორის მიმართ, რადგან სავარაუდოა რომ ისლამური იმპერიებისაგან შამილს არ ჰქონდა მისთვის საჭირო დახმარება,ან ის ხედავდა ამ იმპერიების მხრიდან, როგორც რუსეთის იმპერიის მხრიდან, მისი ხალხისა და სახელმწიფოს თავიანთი იმპერიის შემადგენლობაში შეყვანის სურვილს. მიუხედავად იმისა, რომ შამილი იბრძოდა შარიათის დამკვიდრებისთვის, ისლამის გავრცელებისთვის, მას არცერთხელ არ გამოუთქვამს სურვილი ყოფილიყო რომელიმე ისლამური თუ არა ისლამური სახელმწიფოს შემადგენლობაში, ჩვენამდე მსგავსი სახის დოკუმენტი არ არის მოღწეული.

შამილის იმამატის არსებობაში ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია ამ სახელმწიფოში მცხოვრები ხალხების უფლებების გათანაბრება, შამილი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა იმამატში ხალხთა შორის მშვიდობას და კანონის დაცვას, რისი ერთ-ერთი მაგალითიც არის იმ დროისთვის დივან ხანაში შექმნილი ქრისტიანების საკითხზე მომუშავე საბჭო, რომელმაც წარმატებით იმუშავა და მასში გაწევრიანებული იყო სხვადასხვა ეროვნების და რელიგიის ხალხები.

შამილმა იმამატში თანასწორუფლებიანობა დაამკვიდრა, რომელიც იმ დროისთვის ნამდვილად ძალიან პროგრესული ნაბიჯი იყო, გაუქმდა ხანების და ბეგების ბატონობა გლეხებზე და ისინი გათანაბრდნენ, ასევე აკრძალული იყო მონობა. შამილის იმამატში შეიქმნა მუჰაჯირების ცალკე დასახლება,მთლიანობაში იმამატში კი ცხოვრობდა 30 000 მდე დეზერტირი და მუჰაჯირი(Дадаев, 2013), რომელთაგანაც 4 000 იყო ქრისტიანობის, იუდაიზმის თუ სხვა რელიგიის წარმომადგენელი და მათ მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკა იყო თანასწორი. ასევე შეიქმნა რუსი დეზერტირებისთვის დასახლება, სადაც აშენდა ეკლესია.

შამილის იმამატის დაცემის შემდეგ, რუსეთის იმპერია ცდილობს კავკასიის ხალხებისთვის, განსაკუთრებით კი იმამატის მოსახლეობისთვის ვაინახებისა და

დაღესტნელებისთვის შემოიღოს ისეთი სამართლებრივი სისტემა, სადაც იქნება წარმოდგენილი, როგორც შარიათი, ასევე ჩვეულებითი სამართალი და ამავდროულად რუსეთის იმპერიის სამართალი,(Л. П. Рассказов & В. Л. Рассказов, 2014) ამისთვის ის ყოფს სამართალდარღვევებს, რომლის შემთხვევაშიც ამა თუ იმ ადამიანს აქვს შესაძლებლობა მიმართოს რომელიმე სამართალს, ესენია:

ადათის მიხედვით უნდა განხილულიყო შემდეგი დანაშაულებები:

1) მკვლელობა და სისხლის აღება.
2) დაჭრა.
3) შელაპარაკება და ფიზიკური დაპირისპირება.
4) ნიშნობა და ცოლის შერთვა.
5) ქალზე ძალადობა.
6) ლანძღვა.
7) ქურდობა.
8) ძალადობითა და მუქარის მეშვეობით ქურდობა.
9) სხვისი ქონების დაწვა განადგურება.
10) მიწის შესახებ დავები.

შარიათის სამართლით უნდა განხილულიყო:

1) განქორწინების შესახებ.
2) მემკვიდრეობის შესახებ.

ასევე სხვა მსგავსი დავები.

რუსეთის იმპერიის კანონმდებლობით უნდა განხილულიყო:

1) ყაჩაღობა.
2) ხაზინის გაძარცვა.
3) ასევე შეეძლოთ მიემართათ სხვა მსგავსი საქმეების შემთხვევაშიც.

აღსანიშნავია ის მომენტიც, რომ შარიათი ძალიან დიდ მნიშვნელობას ატარებდა ხალხში, განსაკუთრებით დაღესტნელებში, ამის გამო შამილის სახელმწიფოს დაცემის შემდეგაც, რუსეთის იმპერია მხარს უჭერდა შარიათს. იყო ამის მიზეზიც,ადათი ვერ ახერხებდა ისეთი პრობლემების აღმოფხვრას, რომელიც ეხებოდა, ალკოჰოლიზმს, ძარცვას, თავნებობას, ამის საპირწონედ შარიათი ამას შესანიშნავად ართმევდა თავს. (ლ. გუმაშვილი, 2015)თუმცა, რუსეთი კარგად ხვდებოდა, რომ ამ ხალხის სრულად მართვისთვის აუცილებელი იყო დაემყარებინა რუსული წესრიგი, ეს წესრიგი კი მოიცავდა როგორც ამ ხალხის ჩვეულებითი სამართლისთვის, ასევე შარიათისთვის ფუნდამენტის გამოცლას, რის შედეგადაც ამ ორი სამართლით გარჩეული დავები აღარ იქნებოდა სამართლებრივად რაიმე მნიშვნელობის მქონე, რაც საკანონმდებლო დონეზე განახორციელა კიდეც, თუმცა კავკასიელ ხალხებში ეს ორი სამართლებრივი სისტემა ჯერ კიდევ მყარი სანდოობით საზრდოობს და მაინც ფუნქციონირებს, არაოფიციალურ დონეზე.

თავი III

ჩვეულებითი სამართლისა და შარიათის ფუნქციონირება რუსეთის კავკასიის დაპყრობის კონტექსტში XIX - ე საუკუნის 70-80 იან წლებში.

როგორც ვიცით, რუსეთის თავდაპირველი გამოჩენა კავკასიაში არის სამხედრო სამოკავშირეო ხასიათის (XVI– XVIII), (ჯ. კვიციანი, 2017). რადგან ამ ხანად მას სჭირდება

ხალხის გამოყენება, რომ ოსმალეთის და სპარსეთის გავლენები მაქსიმალურად შეასუსტოს, შემდეგ კი თავად მოიკიდოს ფეხი და გაიმყაროს გავლენები კავკასიაში, ამ მეტად მნიშვნელოვან რეგიონში. თუმცა თავიდანვე, რაც მას ეს ინტერესები გაუჩნდა, ის სულაც არ ჩქარობს, რადგან იქამდე მას აქვს კავკასიიდან გასაძევებელი ოსმალეთის და ირანის გავლენები. რუსეთს რა თქმა უნდა ესმის, რომ კავკასიაში დამკვიდრებისთვის საჭიროა რაიმე ფორმით ამ ხალხთან ურთიერთობის დამყარება და მათი კეთილგანწყობის მოპოვება და ამისთვის ის აწარმოებს სხვადასხვა ღონისძიებებს, ჰპირდება მტერთან წინააღმდეგობაში დახმარებას და დაცვას, სწორედ ამის გამოძახილია რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლესთან დადებული ტრაქტატიც, რომელიც, რა თქმა უნდა არ შეუსრულებია, უბრალოდ გამოიყენა თავისთვის და ერეკლეც და ზოგადად კავკასიაც ამით ძალიან მძიმე დღეში ჩააგდო, რადგან ამის შემდეგ უკვე დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი კავკასიელები დარჩნენ ალყაში, რუსეთის იმპერიის შიგნით და ორმაგად უფრო გართულდა კავკასიელთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

რუსეთი კავკასიაში ყველაზე მძაფრად და სასტიკად მას შემდეგ მოვიდა, რაც ყირიმის ომი მოიგო. ამ პერიოდში შამილი იბრძვის დამოუკიდებლობისთვის და მაქსიმალურად ცდილობს გამოიყენოს მიმდინარეო ომი თავის სასარგებლოდ. შამილის ეს სურვილი რა თქმა უნდა რუსეთისთვის მიუღებელი იყო და მან საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ კავკასიელი ერები ნებისმიერ ფასად დაემორჩილებინა და საკუთარი პოზიციები გაემყარებინა, ამისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის გულის მოგება, პირველ რიგში კი მათი, ვინც დაწინაურებული იყო, იქნებოდა ეს ბეგი, ხანი თუ სხვა.

კავკასიელ ხალხების ნაწილში იმდენად ძლიერად იყო ჩამჯდარი ჩვეულებითი სამართალი, რომ მათი შარიათზე გადაყვანა ძალიან რთული იყო, კავკასიელთა უმეტესი ნაწილი მაინც ჩვეულებით სამართალს ირჩევდა, თუნდაც ის აულები, რომლებსაც შარიათი ჰქონდათ მიღებული კანონად, შამილის საბოლოოდ დამარცხების შემდეგ ისევ ჩვეულებით სამართალზე გადავიდა. რუსეთის მთავრობა ცდილობდა კავკასიელი მთიელები შარიათიდან ისევ ჩვეულებით სამართალზე გადაეყვანათ, რადგან ხვდებოდა, რომ შარიათი იყო მათ წინააღმდეგ წარმოებული მოძრაობის ერთ-ერთი წარმმართველი.

რუსეთის ხელისუფლების ამგვარი ბრძოლა შარიათის წინააღმდეგ იმამების გულისწყრომის საბაბი ხდებოდა და მას შემდეგ რამდენჯერმე ისევ მოხდა აჯანყება, თუმცა ამას ფართომასშტაბიანი სახე არ მოუღია.

რუსეთი კარგად ხვდება, რომ ეს რეგიონი უნდა აკონტროლოს, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია სტრატეგიულად, ამ სურვილს რუსეთის იმპერატორი არც მალავდა, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისთვის კავკასიელთა სურვილები და ტრადიციები არაფერს არ წარმოადგენდა, მართალია ზოგ შემთხვევაში რელიგიას ან ტრადიციას, ან ამა თუ იმ ეთნოსს უწევდა დახმარებას, მაგრამ ეს იყო მხოლოდ მისი ინტერესებიდან გამომდინარე.

კავკასიელთა მიმართ რუსეთის რეალური პოლიტიკის ძალიან კარგი მაგალითია რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე II - ის შეხვედრა ადიღეელებთან, როდესაც ის 1861 წელს 11 სექტემბერს ხვდება ადიღეელებს, ამბობს:

,,მე თქვენთან მოვედი არა როგორც მტერი, არამედ როგორც კეთილი მეგობარი. მე მინდა, რომ თქვენი ხალხები შენარჩუნდნენ, რომ მათ არ დატოვონ მშობლიური ადგილები, რომ ისინი თანახმა იყვნენ იცხოვრონ ჩვენთან ერთად მშვიდობიანად და მეგობრულად. "[ჯ. კვიციანი, 2017:212]

მაგრამ, შემდეგ უკვე იმპერატორმაადიღელთა მეჯლისს განუცხადა, როდესაც მათ გადაწყვიტეს რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღოთ და ასევე შენარჩუნებულიყვნენ იქ, სადაც ცხოვრობდნენ. ამ პერიოდში უკვე მიმდინარეობდა გადასახლებები თურქეთში, მაგრამ მაინც, ისინი იმედს არ კარგავდნენ და როდესაც უკვე მოუწიათ იმპერატორს დათანხმებოდნენ, სთხოვეს არ გაესახლებინათ მათი ადგილებიდან, რაზეც პასუხად მიიღეს:

,,გაძლევთ ერთ თვეს, გონს მოუხმეთ. ერთი თვის შემდეგ თქვენ უნდა განუცხადოთ გრაფ ევდოკიმოვს გნებავთ თუ არა გადახვიდეთ იმ ადგილებში, რომელიც თქვენთვის მითითებულია მდინარე ყუბანზე, ან უნდა გადასახლდეთ თურქეთში "[ჯ. კვიციანი2017: 214].

ამ ტრაგიკული მომენტიდან მალევე ჩერქეზთა ერთ-ერთი ტომის, უბიხების გენოციდიც მოეწყო და ჩერქეზთა უდიდესი ნაწილი თურქეთშიც და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებშიც

გადაასახლეს, აქ ჩვენ შეგვიძლია რუსეთის პოლიტიკა მთელი თავისი სიმძაფრით დავინახოთ.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ კავკასიაში რუსეთის გამოჩენით, არც სხვა სხვა იმპერიები არიან წყნარად და ისინი სხვადასხვა მოქმედებებს ახორციელებენ კავკასიელი ხალხის რუსეთის წინააღმდეგ ასამხედრებლად, რაც გამოიხატება მათი წარმომადგენლების კავკასიაში გამოჩენითა და სხვადასხვა სახის პროპაგანდისტული მუშაობით, რაც კავკასიელთა წაქეზებისთვის იყო განკუთვნილი და ისინი ეწირებოდნენ ამ ომს ისევ და ისევ, შველა კი არ ჩანდა არცერთი დიდი სახელმწიფოს მხრიდან.

ჩრდილოეთ კავკასიაში მთავარი, რასაც ოსმალეთის ემისრები იყენებდნენ, იყო რელიგია, ისლამი, რომელიც გამაერთიანებელი უნდა ყოფილიყო კავკასიაში გამოჩენილი იმპერიის წინააღმდეგ. ამავდროულად რუსეთის იმპერია იღებს გადაწყვეტილებას, რომ მხარი დაუჭიროს ზუსტად იმ სეგმენტს, რომელ სეგმენტზეც ოსმალეთი დებს ფსონს და ეს არის რელიგიური სეგმენტი, ლიდერები, მოლები, რომელთაც რუსეთი აძლევს პრივილეგიებს, უხდის გასამრჯელოს და მათ თავისუფალ ნებას აძლევს, რომ გაავრცელოს შარიათი ხალხში. მართალია მოკლე დროისთვის ეს შესაძლებელია ყოფილიყო რუსეთისთვის სასარგებლო, რადგან ის მართლაც მოიგებდა გულს და დაუმტკიცებდა ამ ხალხს, რომ ოსმალეთზე, ერთმორწმუნე ხალხზე მეტად ზრუნავს კავკასიელ მუსლიმებზე და მათ მეტ თავისუფლებასაც კი აძლევს, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში ეს არ არის რუსეთისთვის სასარგებლო, მეტიც, შემდგომში ეს შესაძლებელია გახდეს ხელის შემშლელი ფაქტორი, ამის გამო რუსეთის მსგავს პოლიტიკას აკრიტიკებდნენ კიდეც. რუსეთი მაქსიმალურად ეხმარება მოლებს, რომ ტრადიციული, ჩვეულებითი სამართალი იქნას უგულველყოფილი და გაძლიერდეს შარიათი, სამართალი, რომელიც კავკასიელი ხალხისთვის არ არის მაინც მისთვის დამახასიათებელი, შინაგანი მიმღებლობა უფრო ადათის მიმართ აქვს, შარიათი ხშირ შემთხვევაში რადიკალურად არის განსხვავებული მათი ჩვეულებითი სამართლისგან. მართალია შარიათის გამოცდილება კავკასიელ ხალხს აქვს, თუნდაც ვაინახებს, უშურმას, იგივე მანსურის პერიოდიდან, თუმცა ძალიან დიდი ნაწილისთვის ეს ჯერ კიდევ უცხო და მიუღებელია.

რუსეთის ამგვარმა დამოკიდებულებამ გააჩინა ბზარი კავკასიელ ხალხებს შორის, რაც იყო გამიზნული პოლიტიკა, შემდეგში ეს გამოჩნდა კიდეც, როდესაც ის აქცევს ზურგს თავისივე მხარდაჭერილ სამართალს და ახლა უკვე ხელს უწყობს ტრადიციულ სამართალს. ამით რუსეთი იმას კი არ ცდილობდა, რომ რომელიმე სამართალი განმტკიცებულიყო კავკასიაში, ზოგს ეს ასე შეიძლება მოეჩვენოს კიდეც, არამედ ის კარგად ცნობილ რომის იმპერიის პოლიტიკას იყენებს ,,დაყავი და იბატონე", ეს გასაკვირი არც არის, რუსეთი ხომ დიდი ხანია მემკვიდრეობას აცხადებს, მესამე რომი რუსეთ არის მათი იდეოლოგიის მიხედვით. გეგმაში აქვს ამ ხალხის დაყოფა, დაპირისპირება და შემდეგ უკვე გამოჩნდება ვითომ ნეიტრალური, რუსული სამართალი, მართალია ეს სამართალი ხალხისთვის არ არის საერთოდ გასაგები, თუმცა მისაღები შესაძლებელია იყოს, რადგან ერთის მხრივ არის შარიათის სამართალი, მეორეს მხრივ ჩვეულებითი, ამ ორ სამართალს აქვს დაპირისპირება და ორივე მხარემ სრულიად შესაძლებელია, რომ აირჩიოს რუსული სამართალი, რადგან ეს არც ერთ დაპირისპირებულ მხარისკენ იქნება გადაწეული, არც მეორე მხარისკენ. მაგრამ, საქმე ასე მარტივად როდია, ხალხი მათი ცხოვრების ყველა სფეროში რუსულ სამართალს სულაც არ უყურებს დადებითად და უნდა მისთვის მისაღები სამართლით იყოს წარმოებული მისივე დავა, რის გამოც, რუსეთი იღებს ასეთ გადაწყვეტილებას, იფუნქციონიროს სამივე სამართალმა, ოღონდ მძიმე დანაშაულებზე რუსეთის სამართალი იქნება გამოყენებული, ხოლო, დანარჩენი კი გადანაწილდება ჩვეულებით სამართალსა და შარიათს შორის.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, განსხვავებით ცარიზმის დროს საზოგადოებაში არსებული პოლი-იურიდიზმის ფუნქციონირებისა, კავკასიელებისთვის მოხდა ცალსახად რუსული სამართლის თავზე მოხვევა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კავკასიელები არაფორმალურად უარს არ ამბობდნენ ჩვეულებით სამართალზე, რეალურ ცხოვრებაში ხდებოდა სამართლებრივიდავების ჩვეულებითი სამართლით განხილვადა აღსრულება. [ჯ. კვიციანი 2014:292-303]. მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებითი სამართლის მიმართ დღემდე მიმდინარეობს არასწორი, ხშირ შემთხვევაში სრულიად გაუაზრებელი მოსაზრებები, მისი დაკნინება, ვაინახებისა და სხვა კავკასიელი მთიელებისთვის ჩვეულებით

სამართალი უზენაესია და ამ სამართლით ხშირად ხდება სამართალწარმოება. მართალია ამას არ აქვს კანონის ძალა, თუმცა ხალხისთვის უფრო მისაღებია, ახლოსაა და შესაბამისად მიმართვიანობაც მაღალია.

დასკვნა

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში გავაანალიზე ,,ჩვეულებითისამართალიდაშარიათივაინახიდადაღესტნელიხალხებისისტორიაში(XIX ს)“, რამაცაშკარად წარმოაჩინა აღნიშნული თემის აქტუალურობა, კერძოდ ჩვეულებითი სამართლისა და შარიათის, კავკასიის მთიელ ხალხთა ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი როლი. თუ ცარისტული მმართველობა კავკასიის ხალხთა ჩვეულებით სამართალსა და შარიათს გარკვეულწილად ანგარიშს უწევდა და ეს აისახა კიდეც ცარისტულ ისტორიოგრაფიაში, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ჩვეულებითი სამართალიდა შარიათი ნაჩვენებია როგორც კავკასიის ხალხთა ,,ჩამორჩენილობის“ სინონიმი, რომელიც ხშირ შემთხვევაში იგნორირებული და აკრძალული იყო.

ნაშრომში განხილულმა ჩვეულებითი სამართლისა და შარიათის შეფარდებასთან დაკავშირებულმა ემპირიულმა მასალამ XIX საუკუნის დასაწყისში, გვიჩვენა, რომ კავკასიელ ხალხებში დომინანტი იყო ჩვეულებითი სამართალი, თუმცა ამავე პერიოდში დაიწყო რუსეთის მიერ შარიათის სამართლის წახალისება შიდა დაპირისპირების გამოწვევის მიზნით.

რუსეთის მიერ შარიათის სამართლისთვის მხარდაჭერის, ჩვეულებითი სამართლის უგულვებელყოფისა და ცარიზმის ძალადობრივი პოლიტიკის შედეგად, ხდება მთიელების გაერთიანება რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. იმამათის მესამე იმამი შამილი (1834-1859) კი გამოირჩეოდა იმ დროისთვის თავისი განსწავლულობის დონით და ცდილობდა სახელმწიფოს მოდერნიზებას. ამისათვის მან მის მიერვე შექმნილ სახელმწიფოში რეფორმები გაატარა და შექმნა ერთიანი სამართლებრივი სივრცე. ამ პერიოდში ჩვეულებითი სამართლის მოქმედება სუსტდება.

რუსეთის მიერ კავკასიისსაბოლოო დაპყრობისშემდეგ, ანუ კავკასიის ომში (1763-1864), იმპერიისგამარჯვების შემდეგ, მან ვაინახებსა და დაღესტნელებში დაამკვიდრა საკუთარი, იმპერიული სამართალი, რის შედეგადაც ჩვეულებითი სამართალი და შარიათი იმპერიის ხელში გახდა კავკასიის ხალხთა მართვის მანიპულირების საშუალება.

ამრიგად, ვაინახი და დაღესტნელი ხალხების ყოველდღიურ ყოფაში ჩვეულებითი სამართალი წარმოადგენდა და დღემდე წარმოადგენსსამართლის მნიშვნელოვან მექანიზმს.

გამოყენებული ლიტერატურა

#1248, ხელნაწერთაეროვნულიცენტრი. მთუმანიშვილისარქივი. (n.d.)

ალბუთაშვილი, მ., *პანკისისხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიულიდაგეოგრაფიულიაღწერა).*თბილისი. 2015, 254 გვ.

ამირეჯიბი, ზ.,ადოლფბერჟეჩეჩნეთისისტორიისადაჩრდილოკავკასიელმთიელთათურქეთშიგადასახლებისშესახებ. *კლიო (საისტორიოალმანახი)*, 1998, 107-122 გვ.

ბაინდურაშვილი, ხ. ახალიმასალაჩრდილოეთკავკასიაშიცარიზმისრელიგიურიპოლიტიკისშესახებ. *ივანეჯავახიშვილისსახელობისთბილისისსახელმწიფოუნივერსტიეტი, საქართველოსისტორიისინსტიტუტი, შრომები V,* თბილისი: მერიდიანი.2012. გვ. 221-226).

ბარამიძე, ც. *კავკასიადროისადასივრცისგასაყარზე.*თბილისი: კავკასიურისახლი.2016.484 გვ.

ბორჩაშვილი, ე.*საზოგადოებრივიწყობილებადაკლასობრივიურთერთობაჩეჩნეთ-ინგუშეთში XVIII საუკუნისბოლოსადა XIX საუკუნისპირველნახევარში.*თბილისი: მეცნიერება.(1974). 89 გვ.

გუმაშვილი, ზ. ჩეჩენთაბრძოლარუსებისწინააღმდეგ 1785 წელსსოფ. ალდისთანშეიხმანსურისხელმძღვანელობით. *ნარკვევებიტომი II*, 2008, 94-100. გვ.

გუმაშვილი, ზ.ქუნთ-ჰაჯიდა ,,ზიქრისტები" ჩეჩნეთში. *პროფესორ-მასწავლებელთა,დოქტორანტთადამაგისტრანტთაგაერთიანებულიკონფერენციისმასალები*, თელავი: უნივერსალი. 2010, 28-31

გუმაშვილი, ლ.. АНАЛИЗ КОНСТИТУЦИИ ШАМИЛЯ. *Северо-Кавказский юридический вестник #2*, 2010, 26-44 გვ.

დრანსე, ა. *შამილისტყვექალები.*თბილისი: არტანუჯი.2010, 166 გვ.

ე.გუმაშვილი,ზ.გუმაშვილი. *КОНСТИТУЦИЯ ЧЕЧЕНСКОЙ РЕСПУБЛИКИ: ИСТОРИЯ, ПРИРОДА, ЭВОЛЮЦИЯ, СОВРЕМЕННОСТЬ.*თბილისი, (იბეჭდება).2017, 559 გვ

ვ. გურული ; დ. ობოლაძე., *შამილიდაქართველები.*თბილისი: ქართულიუნივერსიტეტი.2017.192 გვ.

ველიჩკო, ვ. *კავკასია - რუსულისაქმედატომთაშორისისაკითხები.*თბილისი: რესტოგრაფიულიცენტრი 93. 2010, 232 გვ.

ზედელაშვილი, ს.საზოგადოებრივიმართვისინსტიტუტებიდარუსეთისმიერტერიტორიულ-ადმინისტრაციულიმმართველობისდამყარებაჩრდილოკავკასიაში XIX საუკუნის 60-70-იანწლებში. 2005, 134.

თოფჩიშვილი, რ., *საქართველოსეთნოგრაფია/ეთნოლოგია.*თბილისი: უნივერსალი. 2006, 737

ირემაძე, თ., *ახალირუსულიიმპერიალიზმიდაკავკასია.*თბილისი: ფავორიტსტილი. 2015, 135 გვ.

კვიციანი, ჯ.,ჩვეულებითისამართალიკავკასიაშიდამულტიკულტურალიზმისპრაქტიკა (ისტორიადათანამედროვეობა). *კავკასიოლოგიურიძიებანი,* 2013, 167-170 გვ.

კვიციანი, ჯ.,ჩვეულებითსამართალი, როგორცსამოქალაქომართლწესრიგისფაქტორიაფხაზეთში (ისტორიულ-კულტურულიკონტექსტი). *კავკასიოლოგიურიძებანი #4*, 2014, 292-303 გვ.

კვიციანი, ჯ., *კავკასიაუძველესიდროიდან XIX საუკუნისმეორენახევრამდე : ლექციებისკურსიჰუმანიტარულმეცნიერებათაფაკ-ტისსტუდენტებისათვის.*თბილისი: უნივერსალი. 2017, 216 გვ.

მარგველაშვილი, ტ., *კავკასიადაძველიაღმოსავლეთი : ისტორიულ-ეთნოლოგიურინარკვევები.*თბილისი: კავკასიურისახლი. 2017, 380 გვ

ტარტარაშვილი, ვ.,მიურიდისტურიმოძრაობისშესახებაღმოსავლეთკავკასიისმთიანეთში (1824-1859წწ). *საქართველოსმეცნიერებათააკადემიისმაცნე*, (1981). გვ. 72-88.

ურუშაძე, ლ., *საქართველოსდაკავკასიისზოგიერთისაკითხიქართულემიგრანტულლიტერატურაში.*თბილისი: ენადაკულტურა. 2005, 114 გვ.

ქავთარაშვილი, ა., ინტერვიუ, პანკისი, 2019.

შავხელიშვილი, ა., *საქართველო-ჩეჩნეთ-ინგუშეთისურთიერთობა XVI - XVIII სს-ში.*თბილისი: მეცნიერება. 1980, 103 გვ

ჩიგაგოვა, მ.,შამილიკავკასიასადარუსეთში. *განთიადი,* 1997, გვ. 102-121.

ხანგოშვილი, ხ., *ქისტები.*თბილისი. 2005, 598 გვ.

ხანგოშვილი, ხ., *ქისტებისადათ-წესები.*თბილისი: მერიდიანი. 2015, 340 გვ.

ხუციშვილი, ნ., *დაღესტანი.*თბილისი: კავკასიურისახლი. 2002, 135 გვ.

Дадаев, Ю.,Из опыта обеспечения равноправия граждан разных национальностей и вероисповеданий в государстве шамиля. *კავკასიურიძიებანი,*2013, 141-146 გვ.

Л. П. Рассказов & В. Л. Рассказов. РОЛЬ ШАРИАТА И АДАТА В ПРАВОВОМ РЕГУЛИРОВАНИИ ОБЩЕСТВЕННЫХ ОТНОШЕНИЙ НА СЕВЕРНОМ КАВКАЗЕ В ДОРЕВОЛЮЦИОННЫЙ, СОВЕТСКИЙ И ПОСТСОВЕТСКИЙ ПЕРИОДЫ. *Философия права #5,*2014, 73 - 77.